პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 კვირა 19 დეკემბერი № 298 (16728) ფასი 2 კაპ. 1976

**დღეს, 19 დეკემბერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს 70 წელი შეუსრულდა**

# ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს!

ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ!

[illegible]

მებრძოლს, თანამიმდევრულ მარქსისტ-ლენინელს — თქვენი დაბადების სამოცდაათი წლისთავის დღეს.

თქვენი დაუცხრომელი და ნაყოფიერი მოღვაწეობა, ლეონიდ ილიას-ძევ, სამშობლოსადმი, ლენინის პარტიისადმი, კომუნიზმის საქმისადმი თავდადებული სამსახურის შთამაგონებელი მაგალითია. ყველა პოსტზე, სადაც პარტია გგზავნიდათ, ყველა პასუხსაგებ ამოცანათა გადაწყვეტაში, რასაც იგი გავალებდათ, ყოველთვის ღირსეულად ამართლებდით და კვლავაც ამართლებთ მის ნდობას.

თქვენს დაუშრეტელ ენერგიას, პარტიულ პრინციპულობას, ხალხის ცხოვრებასთან განუყრელ კავშირს ღრმა ფესვები აქვს თქვენ, ლეონიდ ილიას-ძევ, სიჭაბუკის წლებში შეუერთდით მშრომელთა დიად არმიას და მილიონობით თანატოლთან ერთად გულდაჯერებით მიაბიჯებდით საბჭოთა ხელისუფლების მიერ დასახულ გზაზე, ქარხანაში მუშაობასთან ერთად ბეჯითად ეუფლებოდით ცოდნას. მუშათა კოლექტივში ცხოვრებამ მოგცათ მშრომელთა ფიქრებისა და მისწრაფებების ღრმა გაგება. მუშა, ინჟინერი, პარტიული მუშაკი, თქვენ ყოველთვის იყავით პირველი ხუთწლედების წლებში სოციალისტური ინდუსტრიისა და საკოლმეურნეო წყობილების განვითარების დამკვრელურ მიმართულებებზე.

როცა ფაშისტური გერმანიის ავაზაკურმა თავდასხმამ უდიდესი საფრთხე შეუქმნა ჩვენს სამშობლოს, თქვენ დიდი სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე ჩადექით მეომართა რიგებში და სრულ გამარჯვებამდე იბრძოდით. ბრძოლა კავკასიისათვის, ლეგენდარული „მცირე მიწა", ჰიტლერელ ოკუპანტთა განდევნა ყირიმიდან, უკრაინიდან, პოლონეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლება — ასეთია იმ არმიათა სახელოვანი გზის ნიშანსვეტები, რომელთა ბრძოლებში აღინიშნა თქვენი მხედრული გმირობა და პირადი მამაცობა, რისთვისაც სამშობლომ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მოგანიჭათ.

დიდი სამამულო ომის შემდეგ თქვენ, როგორც პარტიის ზაპოროჟიეს, შემდეგ კი დნეპროპეტროვსკის საოლქო კომიტეტების პირველი მდივანი, მთელ ძალღონეს ახმარდით ამ დიდი ინდუსტრიული ცენტრების აღორძინებას, უშუალოდ მონაწილეობდით სახელგანთქმული ვ. ი. ლენინის სახელობის დნეპრჰესისა და მეტალურგიის გიგანტის — „ზაპოროჟსტალის" აღდგენაში.

მოლდავეთისა და ყაზახეთის მშრომელებმა კარგად იციან, რამდენი შრომა, ინიციატივა და ხმტკიცე მოახმარეთ თქვენ, ლეონიდ ილიას-ძევ, როცა ამ მოკავშირე რესპუბლიკების პარტიულ ორგანიზაციებს მეთაურობდით მათი მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის განვითარებას. ყაზახეთის ყამირი მიწების გადაქცევა ქვეყნის დიდ ბეღლად რესპუბლიკის ისტორიაში შევიდა შესანიშნავ ეპოპეად, რომელშიც ჩაწერილია თქვენი სახელიც, თქვენი დიდი წვლილი.

მომდევნო წლებში, როცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი იყავით და განაგებდით მძიმე, თავდაცვითი მრეწველობის, მშენებლობის საკითხებს, თქვენ თვალსაჩინო როლი შეასრულეთ სამშობლოს ინდუსტრიული და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის ზრდაში, მისი თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებაში, კოსმოსური კვლევის ორგანიზაციაში. სამშობლომ ღირსეულად დააფასა თქვენი დამსახურება, ლეონიდ ილიას-ძევ და მოგანიჭათ სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტზე თქვენ ბევრი ძალღონე მოახმარეთ საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომი განმტკიცების საქმეს და სოციალისტური დემოკრატიის განვითარებას.

თქვენი, როგორც ლენინური ტიპის ხელმძღვანელის, ავტორიტეტის მაღალი აღიარება პარტიისა და ხალხის მიერ იყო თქვენი არჩევა, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრის პლენუმზე, ხოლო სკკპ XXIII ყრილობის დამთავრების შემდეგ ცენტრალურმა კომიტეტმა თქვენ აგირჩიათ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად.

მას შემდეგ, უკვე 12 წელზე მეტია, ჩვენი პარტიისა და ხალხის ცხოვრების ყველა მთავარი მოვლენა, საბჭოთა კავშირის ლენინური საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმატებანი დაკავშირებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პოსტზე თქვენს ნაყოფიერ საქმიანობასთან. თქვენ, ლეონიდ ილიას-ძევ, თვალსაჩინო წვლილი შეგაქვთ პარტიის იმ ლენინური გენერალური კურსის შემუშავებასა და განხორციელებაში, რომლის სისწორეს და სამართლიანობას ადასტურებს ჩვენი სამშობლოს განვითარებისა და მსოფლიო ისტორიული პროცესის მთელი მსვლელობა.

ეს იყო საბჭოთა კავშირის ხალხის მასების აღმშენებლობითი ენერგიის მძლავრი, განუხრელი აღმავლობის წლები, ხალხის მასების, რომლებიც კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის ბრძნული ხელმძღვანელობით, რომელსაც თქვენ მეთაურობთ, ლეონიდ ილიას-ძევ, ახორციელებდნენ გაქანებითა და სიღრმით გრანდიოზულ სოციალურ-ეკონომიურ გარდაქმნებს, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობას. პარტიისა და ხალხის გმირული შრომით შეიქმნა საბჭოთა სამშობლოს გიგანტური მატერიალური და სულიერი პოტენციალი. თავისი პოლიტიკური და ეკონომიური შედეგებით თვალსაჩინო იყო მეცხრე ხუთწლედი, რომლითაც აღინიშნა დიდი ეტაპი კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების, ქვეყნის თავდაცვისა და უშიშროების უზრუნველყოფის გზაზე.

ამ წლებში სულ უფრო მონოლითური ხდება მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის კავშირი, სულ უფრო მჭიდრო და განუყრელი — საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობა. საბჭოთა სახელმწიფო საერთო-სახალხო სახელმწიფო გახდა და სოციალისტური დემოკრატიის, მთელი ჩვენი საზოგადოებრივი სისტემის თანმიმდევრულ განვითარებაში დამაჯერებლად ვლინდება ხალხის მასების ისტორიული რევოლუციური შემოქმედების დიადი ძალა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობამ ცხადყო, რომ ჩვენმა სამშობლომ მიაღწია ახალ ისტორიულ მიჯნებს კომუნიზმისაკენ დიადი წინსვლის გზაზე.

პარტიის საპროგრამო დოკუმენტია „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში", რომელიც ყრილობას თქვენ მოახსენეთ, ლეონიდ ილიას-ძევ. ამ დოკუმენტში ღრმად და ყოველმხრივ გაანალიზებულია ჩვენი ეპოქის უმნიშვნელოვანესი პროცესები, პარტიისა და ხალხის რევოლუციურ-გარდამქმნელი საქმიანობა, მსოფლიო რევოლუციური პროცესი, გაშუქებულია მათი კანონზომიერებები და პერსპექტივები, დასახულია ლენინური საშინაო და საგარეო-პოლიტიკური კურსის კარდინალური ამოცანები თანამედროვე ისტორიულ ეტაპზე.

ჩვენი პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი თქვენი მეთაურობით, ლეონიდ ილიას-ძევ, დაუცხრომლად ზრუნავენ საბჭოთა ხალხის ცხოვრების განუხრელი გაუმჯობესებისათვის. ყრილობის მიერ შემუშავებული სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებანი და მათ შესაბამისად მიღებული მეათე ხუთწლიანი გეგმა მთავარ ამოცანად ისახავენ ხალხის კეთილდღეობის განუხრელ აღმავლობას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში საზოგადოებრივი წარმოების დინამიკური და პროპორციული განვითარების, მისი ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, მუშაობის ხარისხის ყოველმხრივ გაუმჯობესების საფუძველზე.

სკკპ XXV ყრილობამ მხურვალედ და ერთსულოვნად მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი და პრაქტიკული საქმიანობა, ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება და მოქმედების სახელმძღვანელოდ მიიღო თქვენს მიერ წამოყენებული დებულებები და ამოცანები. ყრილობამ მძლავრი იმპულსი მისცა საბჭოთა ადამიანების პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ახალ აღმავლობას, რომლებმაც ყრილობის გადაწყვეტილებანი აღიქვეს როგორც თავიანთი საქმიანობის პროგრამა. ისინი უფრო მჭიდროდ შეკავშირდნენ პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

კომუნისტური მშენებლობის წარმატებებთან მჭიდროდ დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის ავტორიტეტისა და გავლენის განმტკიცება მსოფლიო ასპარეზზე. ჩვენი სამშობლოს საერთაშორისო მდგომარეობა მყარია, როგორც არასდროს. განუწყვეტლივ ვითარდება მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან ჩვენი ძმური მეგობრობა და თანამშრომლობა, რომლებიც შედუღაბებულია კომუნისტური პარტიების საბრძოლო კავშირით მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე. მტკიცდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის კავშირი კომუნისტურ, მუშათა პარტიებთან, იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის მსოფლიო ფრონტის მონაწილეთა ყველა რაზმთან. მზარდი სოლიდარობის, მეგობრობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთებით არის განმსჭვალული საბჭოთა კავშირის ურთიერთობა განვითარებად ქვეყნებთან, პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობისა და თავისუფლების საქმისათვის მებრძოლ ყველა ხალხთან.

ბოლო წლებში ჩვენმა სამშობლომ, რომელიც განუხრელად ახორციელებს მშვიდობისმოყვარულ ლენინურ კურსს, მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან და სხვა მშვიდობისმოყვარე ძალებთან ერთად წარმატებანი მოიპოვა ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებაში, სამშვიდობო პროგრამა, რომელიც თქვენ, ლეონიდ ილიას-ძევ, სკკპ XXIV ყრილობაზე დასახეთ, გახდა საერთაშორისო ურთიერთობის გაჯანსაღების, დაძაბულობის შენელებისა და სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის იმ პრინციპების სულ უფრო მტკიცედ დამკვიდრებისაკენ შემობრუნების მძლავრი პოზიტიური ფაქტორი, რომელთათვის ვ. ი. ლენინი იბრძოდა.

საბჭოთა ადამიანებმა, მსოფლიოს ყველა პატიოსანმა ადამიანმა აღფრთოვანებით აღიქვეს მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამა, რომელიც თქვენ ჩამოაყალიბეთ სკკპ XXV ყრილობაზე და რომელიც ასახავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ერთიან ნებას — დაიცვან და განამტკიცონ კაცობრიობის მშვიდობისა და პროგრესის საქმე, თავიდან აიცილონ მსოფლიო თერმოატომური ომის საფრთხე.

საბჭოთა ადამიანები ამაყობენ იმით, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და პირადად თქვენი, ლეონიდ ილიას-ძევ, საგარეოპოლიტიკური საქმიანობის თვითეული ღონისძიება ემსახურება ამ კეთილშობილური, ჰუმანური მიზნების მიღწევას. მშვიდობისათვის შთაგონებული, მგზნებარე ბრძოლით თქვენ დაიმსახურეთ მსოფლიოს ყველა კეთილი ნების ადამიანის მადლობა, რაც გამოიხატა თქვენთვის „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" ლენინური პრემიის მონიჭებით და ფ. ჟოლიო-კიურის სახელობის მშვიდობის ოქროს მედლით თქვენი დაჯილდოებით.

რეაქციული იმპერიალისტური ძალები ყოველნაირად აფერხებენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესს და განაგრძობენ გამალებულ შეიარაღებას. ამიტომ საბჭოთა სახელმწიფო, პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი დაუცხრომლად ზრუნავენ იმისათვის, რომ სათანადო დონეზე იყოს ჩვენი სამშობლოს თავდაცვა. პირადად თქვენ, ლეონიდ ილიას-ძევ, როგორც თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარეს, დიდი წვლილი შეგაქვთ ჩვენი სახელოვანი შეიარაღებული ძალების მშენებლობაში.

ჩვენი პარტიის საქმიანობის, მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის მეცნიერული საფუძველია შემოქმედებითად გამოყენებული და განვითარებული მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება. თქვენ, ლეონიდ ილიას-ძევ, დიდი პირადი წვლილი შეიტანეთ პარტიის მიერ მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების შემდგომ შემოქმედებითს განვითარებაში, განსაკუთრებით განვითარებული სოციალიზმის მშენებლობისა და კომუნიზმზე გადასვლის პირობების შესაბამისად. დიდი წვლილი შეიტანეთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და სოციალური განვითარების საკვანძო პრობლემების ღრმად დამუშავებაში. დებულებებს, რომლებიც თქვენ წამოაყენეთ ისეთ საკითხებზე, როგორიც არის სოციალისტური ინდუსტრიის განვითარება; აგრარული პოლიტიკა, რომლის მიზანია სოფლის მეურნეობის ყოველმხრივ განვითარება, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევებისა და სოციალისტური წყობილების უპირატესობათა შერწყმა, საზოგადოებრივ ურთიერთობათა სრულყოფა, მშრომელთა კომუნისტური აღზრდა, საერთაშორისო ურთიერთობის პრობლემები და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეოპოლიტიკური საქმიანობის ამოცანები, ფუძემდებელი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი სამშობლოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე.

ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ!

თქვენ დაიმსახურეთ კომუნისტებისა და ყველა საბჭოთა ადამიანის ღრმა პატივისცემა, სიყვარული და ნდობა იმით, რომ მთელ თქვენს ძალღონეს ახმართ პარტიისა და ხალხისადმი თავდადებულ სამსახურს. თქვენ პირნათლად ასრულებთ პარტიის მიერ დაკისრებულ მისიას, მეთაურობთ მის საბრძოლო შტაბს — ცენტრალურ კომიტეტს. პარტიამ და ხალხმა იციან, თუ რა ჭეშმარიტად დაუშრეტელი ენერგიით, პრინციპულობითა და გამჭრიახობით ხელმძღვანელობთ თქვენ კომუნისტური მშენებლობის რთული და პასუხსაგები ამოცანების გადაწყვეტას.

თქვენ დღენიადაგ ზრუნავთ ჩვენს საზოგადოებაში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლის შემდგომი ამაღლებისათვის, ხალხის მასებთან მისი კავშირის განმტკიცებისათვის, პარტიისა და საზოგადოების ცხოვრებაში ლენინური პრინციპებისა და ნორმების დამკვიდრებისა და განვითარებისათვის, რაც ჩვენი წარმატებების პირობაა.

ძვირფასო მეგობარო და ამხანაგო!

ყველა თქვენი ამხანაგისათვის, კომუნიზმის საქმის ყველა მებრძოლისათვის თქვენ ხართ იმის მაგალითი, თუ როგორი უნდა იყოს კომუნისტი-ლენინელი. მთელი თქვენი მოღვაწეობა გამსჭვალულია პარტიისა და ხალხის შემოქმედებითი ძალების ღრმა რწმენით, მშრომელ ადამიანებთან გულითადი სიახლოვითა და პატივისცემით. თქვენ გაქვთ შესანიშნავი უნარი შთააგონოთ და შეაკავშიროთ ადამიანები, იყოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ერთსულოვანი, შეკავშირებული მუშაობის ორგანიზატორი.

ჩვენმა კომუნისტურმა პარტიამ, მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ და პირადად თქვენ, ლეონიდ ილიას-ძევ, საბჭოთა საზოგადოებაში დაამკვიდრეთ და განავითარეთ ნამდვილი კოლექტივიზმის, ამხანაგური ნდობის, პატივისცემის და ამასთან ერთად მომთხოვნელობისა და პრინციპულობის ვითარება, რაც ხელს უწყობს კომუნიზმის მშენებელი ადამიანის მთელი შემოქმედებითი ძალების აყვავებას. საბჭოთა ადამიანები პარტიას, სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, თქვენ, ლეონიდ ილიას-ძევ, გიპასუხებენ ღრმა გულითადი მადლიერების გრძნობებით.

გამოვხატავთ რა ამ გრძნობებს და გულწრფელად გილოცავთ თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ, დაბადების სამოცდაათ წლისთავს, გულითადად გისურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერებას, ახალ წარმატებებს თქვენს დაუცხრომელ და ნაყოფიერ მოღვაწეობაში საბჭოთა ხალხის, ყველა მშრომელის საკეთილდღეოდ, მშვიდობისა და კომუნიზმის ნათელი იდეების გამარჯვებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო



სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, საბჭოთა კავშირის გმირის, სოციალისტური შრომის გმირის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის ლენინის ორდენითა და „ოქროს ვარსკვლავის" მეორე მედლით დაჯილდოების შესახებ**

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე კომუნისტურ მშენებლობაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განსამტკიცებლად აქტიური, ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, დიდ სამამულო ომში გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა დამარცხების, საბჭოთა კავშირის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების საქმეში შეტანილი დიდი პირადი წვლილისათვის და დაბადების სამოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, საბჭოთა კავშირის გმირი, სოციალისტური შრომის გმირი ამხანაგი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით და საბჭოთა კავშირის გმირის „ოქროს ვარსკვლავის" მეორე მედლით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი. 1976 წ. 18 დეკემბერი.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის, საბჭოთა კავშირის მარშლის ლ. ი. ბრეჟნევის სსრ კავშირის სახელმწიფო გერბის ოქროსგამოსახულებიანი საპატიო იარაღით დაჯილდოების შესახებ**

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებასა და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სრულყოფაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის მარშალი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი დაჯილდოვდეს სსრ კავშირის სახელმწიფო გერბის ოქროსგამოსახულებიანი საპატიო იარაღით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი. 1976 წ. 18 დეკემბერი.

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს

ძვირფასო და პატივცემულო ლეონიდ ილიას-ძევ!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო რესპუბლიკის ყველა კომუნისტის, ყველა მშრომელის სახელით სულით და გულით გილოცავთ და უკეთესს გისურვებთ თქვენი სახელოვანი 70 წლისთავის დღეს.

თქვენი ცხოვრება მკაფიოდ ასახავს ჩვენი პარტიის გმირულ ისტორიას, ხოლო თვით ამხანაგ ბრეჟნევის ცხოვრება ლენინური პარტიისადმი უანგარო სამსახურია. ისტორიაში არც ისე ბევრია ასეთი ბედნიერი შემთხვევები, როცა პოლიტიკური ხელმძღვანელის იდეები და პრაქტიკული მოღვაწეობა ესოდენ ეხმიანებოდეს მთელი ხალხის ფიქრებსა და მისწრაფებებს.

დღეს განსაკუთრებული ძალით გვაგონდება ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სიტყვები, რომელიც ამბობდა, რომ პროლეტარიატს სჭირდება დაკვირვებული, გამოცდილი და მცოდნე პოლიტიკური ხელმძღვანელები, ყველაზე ავტორიტეტიანი, გავლენიანი, ყველაზე პასუხსაგებ თანამდებობებზე არჩეული პირნი, რომლებსაც ბელადებს ვუწოდებთ. მუშათა კლასის სწორედ ასეთი პოლიტიკური ლიდერი, ხალხის ხელმძღვანელი, პარტიული ბელადია ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის დაუცხრომელი მებრძოლი, ლენინური ტიპის ბრძენი და შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი, გამოჩენილი მარქსისტ-ლენინელი.

ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ!

საქართველოს ბევრი რამ აკავშირებს თქვენს სახელთან: ისიც, რომ დიდი სამამულო ომის წლებში მკერდით იცავდით კავკასიას. ისიც, რომ მშვიდობისა და შრომის წლებში საქართველოს დროშას მიაბნიეთ ლენინის ორდენი, შემდეგ კი ოქტომბრის რევოლუციის ორდენი.

მაგრამ უმნიშვნელოვანესი და უმთავრესი, რაც განსაზღვრავს საქართველოს პარტორგანიზაციის, მთელი რესპუბლიკის ცხოვრების შინაარსსა და რიტმს, არის პარტიის ისტორიული XXV ყრილობა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამი ცნობილი დადგენილება, სამი უმნიშვნელოვანესი პარტიული დოკუმენტი, რომლებიც მიღებულია თქვენი ინიციატივით, თქვენი რჩევით, თქვენი ბრძნული მითითებით: გადაწყვეტილებანი თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ, საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების შესახებ, თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე დადგენილების განხორციელებისათვის რესპუბლიკის პარტორგანიზაციის მუშაობის შესახებ. ამ სამმა დადგენილებამ, თქვენმა დარიგებამ და რჩევამ, თქვენმა მუდმივმა ზრუნვამ და ყურადღებამ, რომელსაც იჩენთ საქართველოს კომუნისტებისადმი, მშრომელებისადმი, რესპუბლიკაში ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი, ნამდვილი შემოქმედებისა და აღმშენებლობის ატმოსფერო შექმნა.

მნიშვნელოვანწილად დაძლეულია რესპუბლიკის ჩამორჩენა. მეათე ხუთწლედის პირველ წელს ბევრად დაჩქარდა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის დაგეგმილი ტემპები. ასობით საწარმომ მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულა წლიური დავალებანი, შემხვედრი გეგმები, სოციალისტური ვალდებულებანი. გამოშვებულია ათეულ მილიონობით მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. სამშობლომ დამატებით მიიღო ათეულათასობით ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, მარცვლეული, ციტრუსები, ხილი, ბოსტნეული, შაქრის ჭარხალი, ხორცი, რძე. მწყობრში ჩადგა ახალი სამრეწველო საწარმოები, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ობიექტები, კულტურის, მეცნიერების, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებანი, ასეულათასობით კვადრატული მეტრი ბინები.

ამრიგად, ლენინის ანდერძის ერთგული საქართველოს მშრომელები თქვენს იუბილეს აღნიშნავენ ახალი შრომითი წარმატებებით, სახელობითი შრომითი საჩუქრებით და ამით გამოხატავენ თავიანთ უდიდეს პატივისცემასა და სიყვარულს, დიდ სიმპათიასა და გულითად მადლიერებას.

ჩვენში ყველგან საზეიმო ვითარებაში აღინიშნება თქვენი დაბადების დღე. და დღეს რესპუბლიკაში არ არის ქალაქი თუ სოფელი, სახლი თუ ოჯახი, სადაც ადამიანები თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ, არ გისურვებდნენ ყოველივე იმას, რასაც უსურვებ უახლოეს და უძვირფასეს ადამიანს: ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, სიხარულსა და დიდ ბედნიერებას, ახალ ძალღონესა და ახალ ენერგიას — ყველა საბჭოთა ადამიანის, მთელი პროგრესული კაცობრიობის სასიხარულოდ და საბედნიეროდ, ჩვენი დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ, ჩვენი ლენინური პარტიის სადიდებლად, კომუნიზმის სრული და საბოლოო გამარჯვებისათვის!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ე. შევარდნაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ზ. პატარიძე.

# მეგობრული ვიზიტით

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის დაბადების 70-ე წლისთავთან დაკავშირებულ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად 18 დეკემბერს მოსკოვში მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდნენ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ტ. ჟივკოვი; გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ე. ჰონეკერი; რუმინეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ნ. ჩაუშესკუ; ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი გ. ჰუსაკი.

აეროდრომზე სტუმრებს დახვდნენ ი. ვ. ანდროპოვი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, ა. ი. პელშე, პ. ნ. დემიჩევი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, მ. ვ. ზიმიანინი, სხვა ოფიციალური პირნი.

(საქდესი).

# გულითადი მილოცვები, კეთილი სურვილები

**იმასთან** დაკავშირებით, რომ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს 70 წელი შეუსრულდა და იგი ლენინის ორდენით და საბჭოთა კავშირის გმირის „ოქროს ვარსკვლავის" მეორე მედლით დაჯილდოვდა, **ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს** გულითადად ულოცავენ:

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე **ტ. ჟივკოვი**, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ს. ტოდოროვი**;

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე **ე. ჰონეკერი**, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ვ. შტოფი**;

ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი **ტონ დიკ თხანგი**, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ლე ზუანი**, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარე **ჩიონგ ტინი**, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრი **ფამ ვან დონგი**;

კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ფ. კასტრო რუსი**;

ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი **კ. ფომვიჰანი**;

მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ი. ცედენბალი**, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ჟ. ბატმუნხი**;

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ე. გერეკი**, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე **ჰ. იაბლონსკი**, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **პ. იაროშევიჩი**;

რუმინეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი **ნ. ჩაუშესკუ**;

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ი. კადარი**;

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, **გ. ჰუსაკი**. (საქდესი).

**იმის** გამო, რომ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს 70 წელი შეუსრულდა და დაჯილდოვდა ლენინის ორდენით და საბჭოთა კავშირის გმირის „ოქროს ვარსკვლავის" მეორე მედლით, **ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს** გულითადად ულოცავენ:

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭო;

უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო;

ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო;

უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო;

ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო;

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო.

აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო;

ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, ლიტვის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო;

მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, მოლდავეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო;

ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, ლატვიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო;

ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, ყირგიზეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო;

ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, ტაჯიკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო;

სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო;

თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, თურქმენეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო;

ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, ესტონეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო;

სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტი და მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი.

სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტი, სკკპ ლენინგრადის საქალაქო კომიტეტი, მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომი, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი.

სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტრო, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველო, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მთელი პირადი შემადგენლობა;

საბჭოთა კავშირის პროფესიული კავშირების ცენტრალური საბჭო;

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი;

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია.

(საქდესი).

# იუბილეს აღსანიშნავად

**ამ დღეებში** საბჭოთა კავშირის ქალაქებსა და სოფლებში ხორციელდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. ჩვენი პარტიის ხელმძღვანელის, ერთგული ლენინელის, თანამედროვეობის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწის იუბილეს აღსანიშნავად გაიხსნა ფოტოგამოფენები და ექსპოზიციები, გამოდის წიგნები, პლაკატები.

**კიშინიოვი. მოლდავეთის კომუნისტური პარტიის ისტორიის მუზეუმში ახალი დარბაზი გაიხსნა.** ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის ყოფილ სამუშაო კაბინეტში ექსპონირებულია მრავალრიცხოვანი დოკუმენტები, რომლებიც ასახავენ 1950-1952 წლებში მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პოსტზე მის მრავალმხრივ ნაყოფიერ მოღვაწეობას. ფოტოსურათებზე აღბეჭდილია ლეონიდ ილიას-ძის შეხვედრები მუშებთან, კოლმეურნეებთან, ინტელიგენციასთან. მისი გამოსვლები პარტიული აქტივის წინაშე.

**ხარკოვი. ბევრი საინტერესო დოკუმენტი და რელიკვიაა შეკრებილი მე-18 ცალკე არმიის საბრძოლო დიდების მუზეუმში,** რომელიც ქალაქის პროფტექნიკური განათლების სასწავლო ცენტრში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა. ვრცელი ექსპოზიცია მკაფიოდ და შთამბეჭდავად ასახავს შენაერთის მხედრულ გმირობას, რომლის პოლიტგანყოფილებასაც ომის წლებში ლ. ი. ბრეჟნევი მეთაურობდა.

ხარკოვის ქარხნებსა და მშენებლობებზე, დაწესებულებებში იმართება ლექცია-საუბრები, მოწყობილია წიგნებისა და ილუსტრაციების გამოფენები, უჩვენებენ კინოფილმებს, რომლებიც ასახავენ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

**დონის როსტოვი. „სამხრეთის ფრონტზე"** — ასე ეწოდება წიგნს, რომელიც წიგნის საოლქო გამომცემლობამ გამოუშვა. წიგნში მოცემულია დიდი სამამულო ომის ახალი ფურცლები, რომლებიც დაკავშირებულია ლ. ი. ბრეჟნევის, დონის როსტოვისათვის ისტორიული ბრძოლების მონაწილის სახელთან. წიგნი ილუსტრირებულია ომის წლების ფოტოსურათებით. (საქდესი).

# მშვიდობის, კომუნიზმის გამოჩენილი მებრძოლი

**სკკპ** ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის 70-ი წლისთავისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა „პლაკატმა" ბევრი გამოცემა გამოუშვა.

მათ შორის არის ფოტოინფორმაცია, რომელიც ეძღვნება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მრავალმხრივ საქმიანობას, რომელიც მთელ სიცოცხლეს ახმარს პარტიის საქმეს, მარქსისტულ-ლენინური იდეალებისთვის, კომუნიზმისათვის ბრძოლას.

სუვენირული შესრულებით გამოიცა რუსეთის სფსრ დამსახურებული მხატვრის ბ. ი. ლებედევის ნახატების მრავალთეროვანი ალბომი „მშვიდობის, კომუნიზმის გამოჩენილი მებრძოლი". ალბომი იხსნება ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებით: „ყველაფერი ვიღონო კომუნიზმის საქმის ახალი გამარჯვებებისათვის — ეს ჩემთვის, როგორც კომუნისტისათვის, მთავარი მიზანი, უზენაესი მოვალეობაა, მთელი ჩემი ცხოვრების არსია". (საქდესი).

# სკკპ ახალი ადამიანის ჩამოყალიბების შესახებ

**პოლიტიკური** ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა კრებული „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ახალი ადამიანის ჩამოყალიბების შესახებ". იგი შეიცავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 1975-დან 1976 წლამდე პერიოდის დოკუმენტებსა და მასალებს, რომლებშიც გაშუქებულია პარტიის უდიდესი მუშაობა საბჭოთა ადამიანების კომუნისტური აღზრდისათვის.

კრებულში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პარტიის XXIII, XXIV და XXV ყრილობების დოკუმენტებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებებს, სიტყვების შესაბამის ნაწილებს.

კრებულის მასალები საბჭოთა ადამიანების იდეური, პროფესიული და კულტურული დონის ამაღლებისათვის, კომუნისტური საზოგადოების ადამიანის ჩამოყალიბებისათვის პარტიის დაუცხრომელ ზრუნვას მოწმობს.



# ლ. კორვალანი თავისუფალია!

**ჩილელ** პატრიოტებთან და დემოკრატებთან საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოთა სოლიდარობის ფართო მოძრაობის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მსოფლიოს ყველა ქვეყნის პროგრესული საზოგადოებრიობის ენერგიული მეცადინეობის შედეგად საპყრობილის ჯურღმულებიდან განთავისუფლდა ჩილის და საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, ჩილეს კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ამხანაგი ლუის კორვალანი. ჩილეს ხელისუფალნი, რომლებსაც ლ. კორვალანი სამ წელზე მეტი ხანი ჰყავდათ საპყრობილეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში, მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით იძულებული გახდნენ გაეთავისუფლებინათ იგი. ლ. კორვალანს, რომელიც დეპორტირებულია ჩილედან, საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა მთავრობამ შესაძლებლობა მისცეს, რომ სსრ კავშირში ჩამოვიდეს და სრულ მასპინძლობას გაუწევენ მას.

საბჭოთა კომუნისტები, ყველა საბჭოთა ადამიანი მხურვალედ ულოცავენ ლ. კორვალანს, მის ნათესავებსა და ახლობლებს, ჩილელ კომუნისტებსა და სხვა ჩილელ პატრიოტებს, ყველა კეთილი ნების ადამიანს, ვინც მისი განთავისუფლებისათვის იბრძოდა, მთელი მსოფლიოს დემოკრატიული ძალების ამ დიდმნიშვნელოვან გამარჯვებას.

(საქდესი, 18 დეკემბერი).

# მშვიდობის დიდი ქომაგი

## უცხოეთის პრესა და გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწეები ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ

**მსოფლიო საზოგადოებრიობა, რომელიც ფართოდ აღნიშნავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის 70-ე წლისთავს, ყურადღებას მიაპყრობს მის თვალსაჩინო დამსახურებას არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ მთელი მსოფლიოს ხალხთა წინაშე** ხაზგასმით აღნიშნავენ ლ. ი. ბრეჟნევის უდიდეს ავტორიტეტს, რომელიც განუყრელადაა დაკავშირებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის თანამიმდევრულ და მტკიცე განხორციელებასთან.

**იუბილარს ბევრ სტატიას უძღვნის მოძმე სოციალისტური ქვეყნების პრესა.** სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, წერს იარშავის ყოველკვირეული **„ტოლნეჟ პოლსკი"**, თავისი დაუცხრომელი მოღვაწეობით დიდი წვლილი შეიტანა სკკპ ლენინური პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში, რომლის ნაყოფი იყო საბჭოთა კავშირის წარმატებით განვითარება, მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ძლიერებისა და გავლენის ზრდა, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობისა და ძალის განმტკიცება.

ლ. ი. ბრეჟნევმა — პოლონეთის საიმედო მეგობარმა, ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა აგრეთვე საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ძმური ურთიერთობის გაფართოებასა და გაღრმავებაში, ხელი შეუწყო მის მთლიან აყვავებას, წერს შემდეგ ყოველკვირეული. ახლა ჩვენი პარტიების, მთავრობებისა და ხალხების მეგობრობა და თანამშრომლობა უფრო ფართოდ ვითარდება, ვიდრე ოდესმე.

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი მე-20 საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწეა, ხაზს უსვამს უნგრული ყოველკვირეული **„ორსაგ-ვილაგი"**, მისი ცხოვრება და მოღვაწეობა განუყრელად არის დაკავშირებული საბჭოთა კავშირის განვითარებასა და განმტკიცებასთან, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის წარმატებებთან, საერთაშორისო ასპარეზზე ძალთა თანაფარდობის კეთილნაყოფიერ ცვლილებებთან, მსოფლიო მასშტაბით დაძაბულობის შენელების გავრცელებასთან.

ლ. ი. ბრეჟნევი ხშირად ხვდება მუშებს, გლეხებს, ინტელიგენციას, მეომრებს, წერს თინური „მაილმაი მე". 1976 წლის გაზაფხულზე მოსკოვის ი. ა. ლიხაჩოვის სახელობის ავტომობილო ქარხნის მუშებთან მისმა შეხვედრამ კვლავ ცხადყო, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ღრმად იცნობს მუშა კაცის ცხოვრებას, ინტერესებსა და მისწრაფებებს, იცის, რა აწუხებს, რა ახარებს ხალხს, რას ესწრაფვის იგი. ლენინურად ზრუნავს ადამიანის კეთილდღეობისათვის, ხალხის კეთილდღეობისათვის, რაც კომუნისტთა პარტიის საქმიანობის უმაღლესი აზრი და მიზანია.

ლ. ი. ბრეჟნევი, განაგრძობს ჟურნალი, უშუალოდ მონაწილეობდა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ისტორიული თათბირის მოწყობასა და მომზადებაში. მას ეკუთვნის შეიარაღების შეზღუდვისა და განიარაღების კონსტრუქციულ წინადადებათა მთელი კომპლექსის ინიციატივა, რომლებსაც დიდი კმაყოფილებით შეხვდა მშვიდობისმოყვარე საზოგადოებრიობა და საერთაშორისო მოლაპარაკების საგანი გახდა.

„ლ. ი. ბრეჟნევი — მშვიდობაა" — ასეთი სათაურით გამოაქვეყნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი სტატია მალის მთავრობის გაზეთმა **„ესორმა"**. ლ. ი. ბრეჟნევის სახელი, წერს გაზეთი, უაღრესად მჭიდროდ უკავშირდება საბჭოთა საგარეო-პოლიტიკური პროგრამის თანამიმდევრულ განხორციელებას, რომელსაც მსოფლიოს ყველა ენაზე მშვიდობის პროგრამას უწოდებენ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის იდეები საერთაშორისო დაძაბულობის შენელების მატერიალიზაციის საჭიროების შესახებ ფუძემდებლურია მშვიდობის ყველა მებრძოლისათვის.

**მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ნახევარსფეროში, საიუბილეო ზეიმში მონაწილეობენ ცნობილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეები.** ჯორჯთაუნში გამართულ საზეიმო კრებაზე გამოვიდა გაიანის პრემიერ-მინისტრი **ფ. ბერნჰემი**. მან აღნიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა უდიდესი წვლილი შეიტანა ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების საქმეში, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაში. ლ. ი. ბრეჟნევი, განაცხადა ორატორმა, მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ხელმძღვანელი, მრავალმხრივი ნიჭის ადამიანია, რომლის მოღვაწეობა განუყრელადაა დაკავშირებული მშვიდობისათვის ბრძოლასთან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მთელი ცხოვრება, თქვა შემდეგ პრემიერ-მინისტრმა, თავისი ხალხის სამსახურის, მშვიდობისათვის, ქვეყნად თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლის საქმისადმი სამსახურის მაგალითია.

ჩვენი ხალხი, განაცხადა ბეირუთში ლიბანის პარლამენტის დეპუტატმა **ფ. ჯებრანმა**, დიდად აფასებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და პირადად მისი ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მეცადინეობას მთელ მსოფლიოში, მათ შორის ახლო აღმოსავლეთშიც მტკიცე მშვიდობის მიღწევისათვის.

ჩვენთვის, მშვიდობისათვის მოძრაობის მონაწილეებისა და საბჭოთა კავშირის გულწრფელი მეგობრებისათვის, თქვა შვეციის გამოჩენილმა საზოგადო მოღვაწემ, „შვეცია-საბჭოთა კავშირის" საზოგადოებების კავშირის გენერალურმა მდივანმა **ივა პალმერმა**, უდიდეს როლს ასრულებს ლენინური მშვიდობისმოყვარე პოლიტიკის იდეალებისადმი თავდადებული სამსახურის მაგალითი, რასაც საერთაშორისო ასპარეზზე მთელი თავისი მოღვაწეობით გვიჩვენებს ლ. ი. ბრეჟნევი. ჩვენს ქვეყანაში, აღნიშნა შემდეგ ე. პალმერმა, დიდი კმაყოფილებით აღიქვეს სრულიად ევროპის თათბირის შედეგები, რომლის მოწვევასა და ჩატარებაში გადამწყვეტი წვლილი შეიტანა პირადად ლ. ი. ბრეჟნევმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის უშუალო მონაწილეობით კეთილი ნების ადამიანებს მშვიდობისათვის ყველა მებრძოლის პატივისცემა და სიყვარული.

უკანასკნელი ექვსი წლის მანძილზე ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის სახელი გარანტიად გაუხდა დასავლეთის ქვეყნებთან თანამშრომლობის პოლიტიკას, რომლის მიზანია მშვიდობის შემდგომი განმტკიცება, წერს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფედერალური მდივანი **ეგონ ბარი** სტატიაში, რომელიც გამოაქვეყნა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პრეს-ბიულეტენმა.

შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობის პოლიტიკის მიზანია კონტროლი დაუწესდეს ატომური შეტაკების საშიშროებას და შეიზღუდოს გამალებული შეიარაღება სტრატეგიული იარაღის დარგში. ლ. ი. ბრეჟნევის სახელი დაკავშირებულია ჰელსინკის თათბირთან და საბოლოო აქტთან. ცენტრალურ ევროპაში ჯარებისა და შეიარაღების შემცირების ღონისძიებანი, ამავე პოლიტიკის აუცილებელი და გადაუდებელი ნაწილია, თუმცა ამ დარგში დღემდე ვერავითარ ძვრებს ვერ მივაღწიეთ. ოთხმხრივი შეთანხმებაც ვერ დაიდებოდა ლ. ი. ბრეჟნევის პირადი მონაწილეობის გარეშე, ნათქვამია სტატიაში.

ბუნებრივი და კანონზომიერია, აღნიშნავს შემდეგ ე. ბარი, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მოქმედებს და მოლაპარაკებას აწარმოებს თავისი ქვეყნისა და მისი მოკავშირეების ინტერესების შესაბამისად. იგი ძნელი, და ამავე დროს სასიამოვნო პარტნიორია მოლაპარაკებაში. ძნელ მხარეს განმარტება არ სჭირდება. სასიამოვნო მხარე კი იმით ვლინდება, რომ საქმე ეხება ძლიერ პიროვნებას. ასეთ მოღვაწეებთან მოლაპარაკება რთულია, მაგრამ მისი შედეგები საიმედოა, საიმედოობა კი სახელმწიფოებრივ, აგრეთვე პირად ურთიერთობაში აუცილებელი ბაზაა ჩვენს წინაშე ჯერ კიდევ მდგომი პრობლემების მოწესრიგებისათვის.

# ადამიანთა მოსიყვარულე უდიდესი ადამიანი

# მარად დაუვიწყარი დღეები

## ჟურნალისტის უბის წიგნაკიდან

**მეათე** საიუბილეო ხუთწლედის პირველი წლის კალენდარზე თორმეტი ფურცელიღა შემორჩა. მალე კარს შემოაღებს ახალი წელი — ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედის მეორე წელი.

ძველი და ახალი წლის ზღურბლთან გამარჯვების ყვარცხლბეკზე დგას 1976 წელი — ცხოვრების ყველა ფრონტზე მძლავრი ნაბიჯებით რომ იარა და ქვეყანას, ხალხს სიუხვე და სიხარული მოუტანა.

დგას ამაყად — უდიდესი მნიშვნელობის მოვლენებითა და საქმეებით დახუნძლული.

ეს არის წელი ლენინური პარტიის ისტორიული XXV ყრილობისა, რომელმაც განსაზღვრა მეათე ხუთწლედის მიჯნები და სოციალურ-ეკონომიური პროგრესის შემდგომი პერსპექტივები.

ეს არის წელი კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის დიდი შემოქმედებითი შრომისა, საერთაშორისო ასპარეზზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს უდიდესი საქმიანობისა.

ეს არის წელი ჩვენი იდეების ძალის, ჩვენი პოლიტიკის ქმედითობის, ჩვენი ხალხის აღმშენებლობითი ენერგიის სრული გაფურჩქვნისა და აღმავლობისა.

**„ჩვენი ხალხი, — აღნიშნა ამხანაგმა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა სკკპ XXV ყრილობის ტრიბუნიდან, — ღრმად ჩასწვდა პარტიის პოლიტიკას და ერთსულოვნად, მთელი გულითა და სულით მხარი დაუჭირა მას. მხარი დაუჭირა საქმეებით, დამკვრელური შრომით, სოციალისტური შეჯიბრების საყოველთაო-სახალხო გაქანებით. ამან კიდევ უფრო განამტკიცა პარტიისა და ხალხის ერთიანობა, შექმნა პირობები იმისათვის, რომ მომავალი ხუთწლეული აღინიშნოს ახალი მიღწევებით ყველა სფეროში.**

**ჩვენს კალენდრებში ჩაწერილია: 1976 წელი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 59-ე წელია. ეს ლიტონი სიტყვა არ არის: საბჭოთა ხალხის დღევანდელი მიღწევები ოქტომბრის საქმის უშუალო გაგრძელებაა. ეს არის დიდი ლენინის იდეების პრაქტიკული ხორცშესხმა. ამ საქმის, ამ იდეების ერთგული იყო და იქნება მარად ჩვენი პარტია!".**

ჩვენს კალენდრებში — სწორედ მის დღევანდელ ფურცელზე — ჩაწერილია კიდევ ერთი დიადი თარიღი: **„70 წლის წინათ დაიბადა ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი".**

**70 წელი!..**

დიდი გზა, რომლის ყოველი მონაკვეთი მოვლენაა ქვეყნისა და ხალხის ცხოვრებაში.

დიდი გზა — ქებული ბრძოლითა და შრომით...

დიდი გზა განვლილი ცამდე მართალი კაცისა, რომელსაც ხალხის ჭირი და ლხინი გულთან ერთად უტარებია.

შევყურებ კალენდარს, ვფურცლავ ჩემს უბის წიგნაკს, ვკითხულობ და თითქოს მესმის დინჯი, ხავერდოვანი ხმა ძვირფასი ადამიანისა, 50 წლის საბჭოთა საქართველოს დაბადების დღეს რომ ესტუმრა.

„თვითეული ხალხის ცხოვრებაში, — თქვა მაშინ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — არის მოვლენები, რომლებიც მკვეთრად ცვლიან მის ბედს, იწყებენ მისი ისტორიის ახალ ეპოქას. ქართველი ხალხისათვის ასეთი მოვლენა იყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება 1921 წელს. ორმოცდაათი წელი არცთუ ისე დიდი ასაკია ერთი ადამიანის ცხოვრებაში, ხალხებისა და სახელმწიფოსათვის კი ეს სულ ცოტა დროა. დღევანდელი დღე, სოციალისტური საქართველოსა და მისი კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის დღესასწაულის დღე, შეგვიძლია ჩავთვალოთ თქვენი მშვენიერი რესპუბლიკის სიჭაბუკისა და აყვავების ზეიმად".

ის იდგა დინჯად, სახეგაბადრული, შუბლნათელი, ნასიამოვნები... საუბრობდა და ხმა მისი საოცარი ძალით იპყრობდა ადამიანთა გულებს, აჯადოებდა სიმართლით, სისადავით, უბრალოებით:

— ალბათ არ არის კაცი, რომელსაც ძვალ-რბილში არ ჰქონდეს გამჯდარი მამა-პაპათა მამულის, მშობლიური კულტურის, თავისი ენის, თავისი ტრადიციებისა და ზნე-ჩვეულებების სიყვარული. მაგრამ სოციალისტურ საზოგადოებაში ის გრძნობა—პატრიოტიზმის გრძნობა — სცილდება ეროვნული კუთვნილების საზღვრებს, ახალი შინაარსით ივსება...

თითქოს გაიხსნა დარბაზის ჭერი და ჩვენი დიადი სამშობლოს უკიდეგანო სივრცემ, მისმა სიდიადემ, სიუხვემ და სიმშვენიერემ თან წარგვიტაცა, აგვამაღლა, აგვაფრინა... მერე ეს ხმა, სულ მართალი, მიმზიდველი, გულში ჩამწვდომი ხმა, დაიფარა მქუხარე ტაშით.

„მე მომიხდა მებრძოლა ერთ-ერთ უნიჭიერეს საბჭოთა მხედართმთავართან — მე-18 არმიის სარდალ გენერალ-პოლკოვნიკ კ. ნ. ლესელიძესთან. ფრონტზე ძალიან მალე მჟღავნდება ადამიანის ბუნება, იქ მაშინვე იგებ, ვინ რას წარმოადგენს. კონსტანტინე ლესელიძე დამახსომდა როგორც ქართველი ხალხის საუკეთესო ეროვნული თვისებების განსახიერება. ეს იყო სიცოცხლით სავსე ვაჟკაცი, მტრისთვის მკაცრი და მეგობრებისათვის გულუხვი, პატიოსანი კაცი, სიტყვის კაცი, გონებამახვილი და გულმგზნებარე".

საუბრობდა გენერალური მდივანი... რასაც ენით ამბობდა, მისი თვალებიც იმას ამბობდნენ, მისი ღიმილიც იმას აცოცხლებდა...

ეს გულწრფელი ღიმილი, ელვა თვალისა და გრძნობა დიადი მეგობრობისა, ხასიათი დიდი ადამიანისა ადრეც გამოიკვეთა, როცა გახახხახებულ დარბაზში „ჯარისკაცის მამა" — სცენის ჯადოქარი სერგო ზაქარიაძე გამოჩნდა და ქართველი კაცის ალალი გული, მგზნებარე და მებრძოლი სული ხონჩით შემოიტანა.

წუთით მშვიდობიანმა ზეიმმა სასახლიდან ბობოქარ სანგრებში გადაინაცვლა...

ამხანაგი ლ. ბრეჟნევი იდგა ჩაფიქრებული... სახეზე ღიმილი გაუქრა, მაღალი, ნათელი შუბლი შეიჭმუხნა... ალბათ იმ ერთ წუთში მის თვალწინ გაიქროლა ომის ყველა საშინელებამ, ყველაფერმა, რაც საკუთარი თვალით უნახავს და ჯარისკაცებთან — მხარდამხარ გადაუტანია.

ის წუთით გავიდა... გაქრა ნაღველიც, გამარჯვების ზარები აკუჟუნდნენ.. ღიმილი დაუბრუნდა დიდ ადამიანს... ღიმილი დაუბრუნდა მთელ დარბაზს.

— ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ხშირად როდი იქმნება ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" მსგავსად, საუკუნეებში რჩება. ჩვენ გვინდა, რომ იქმნებოდეს ისეთი სიღრმისა და მხატვრული ძალის მეტი ნაწარმოები, რომლებიც მარტო ჩვენ, თანამედროვეებს, როდი მოგვხვდებოდა გულს და აღგვაფრთოვანებდა. საჭიროა, რომ ჩვენმა შთამომავლობამ ათწლეულების შემდეგ თქვას: **ჩვენ 70-იანი წლების საბჭოთა ადამიანებისაგან მივიღეთ იმ დიადი დროის ღირსეული, ფასდაუდებელი მემკვიდრეობა, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ, იმ დიადი საქმეების ღირსეული მემკვიდრეობა, რომელსაც ისინი აკეთებდნენ!..**

განა შეიძლება ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის ეს სიტყვები როდისმე დაავიწყდეს იმ ადამიანებს, რომლებიც იმ დარბაზში იყვნენ. ან იმათ, ვინც რადიომიმღებებთან ან ტელევიზორებთან ისხდნენ.

ეს იყო ადამიანის სიყვარულით, ხალხთა ლენინური მეგობრობით გამთბარი სიტყვები, ეს იყო მომავალი გამარჯვებების, საოცარი მასშტაბის მქონე აღმშენებლობისა და მთელი კაცობრიობის სულიერი ამაღლების დიადი პროგრამა.

და რომ ეს იყო სიტყვა მართალი ადამიანისა, რომელიც ხალხთა ჭირსა და ლხინს გულთან ერთად ატარებს, თვით ცხოვრებამ დაამტკიცა.

როცა საჭირო შეიქნა ხელის მოშველება, როცა მხარი ისე ვერ აგვებით დიად საქმეს, როგორც ეს საჭირო იყო, მაშინვე სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ჭეშმარიტად დროული დადგენილება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ, მზის სინათლეზე გამოიტანა ჩვენი ნაკლოვანებები და შეცდომები, დაგვისახა მათი გამოსწორების გზები და საშუალებები.

შემდეგ, წელში რომ გავმართულიყავით, წამოგვაშველეს უდიდესი მნიშვნელობის დადგენილება საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ.

და ბოლოს — წლევანდელი ივნისის დადგენილება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა, რომელიც ჩვენი მუშაობის ხანგრძლივი პერიოდის ნათელი პროგრამაა.

როგორც გაზეთმა „პრავდამ" აღნიშნა, ამ ზოგად-პარტიულ დოკუმენტში, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ინიციატივით მიიღეს, მოცემულია პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების შესასრულებლად რესპუბლიკის კომპარტიის ბრძოლის ღრმად მეცნიერული, დიალექტიკური ანალიზი, აღნიშნულია რესპუბლიკის კომუნისტებისა და მშრომელების მიღწევები მეცხრე და მეათე ხუთწლედების მიჯნებისათვის ბრძოლაში, მთელი ყურადღება ეთმობა გადაუჭრელ პრობლემებს, მეცნიერულადაა განსაზღვრული შემდგომი წინსვლის გზები.

აღნიშნული დადგენილების მიღება კიდევ ერთხელ თვალნათლივ ცხადყოფს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, პოლიტბიუროს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ჭეშმარიტად ლენინურ ზრუნვას საქართველოს პარტიული ორგანიზაციისათვის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყველა რაზმისათვის.

აი ის მძლეთამძლე ძალა და შთაგონება, რომელმაც კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმა ჩვენი მშრომელები, აღანთო ისინი ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა, პარტიის ბრძნულ წინასწარდასახულობათა წარმატებით შესრულებისათვის. აი ის დაუშრეტელი ძალა და მამოძრავებელი ენერგია მშრომელი ადამიანის მარჯვე მკლავისა, რომელიც მას ამხნევებს და ძალას მატებს, რათა დღეს უკეთ იმუშაოს, ვიდრე გუშინ და ხვალ კიდევ უკეთესად, ვიდრე დღეს.

როგორც ერის უძვირფასესი განძი, ადამიანთა შემოქმედებითი შრომის ორმა შთაგონება. ისე ინახება ჩვენს რესპუბლიკაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მისალმების წერილები სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგში ყოველი თვალსაჩინო გამარჯვებების გამო, მისალმებები ცალკეული მოწინავე ადამიანების სახელზე, რომლებმაც თავიანთი მამაცური შრომით თავი გამოიჩინეს.

რა დიდი ძალა, შრომითი შემართების რა განუსაზღვრელი უნარი აქვს ამ გულთბილ წერილებს. რამდენი რამ ახალი საჭირო და სასარგებლო საქმე მოჰყვა მას, რამდენი ახალი ენთუზიასტი ადამიანი წამახალისა, დარაზმა, აღანთო შემდგომი გმირული შრომისათვის.

და ყველაფერ ამას ვიხსენებთ დღეს, როცა ჩვენს წლევანდელ კალენდარს თორმეტი დღე შემორჩა და ხუთწლედის პირველმა წელიწადმაც კიდევ ერთი ბრწყინვალე თავი ჩაწერა იმ დიდ წიგნში, რომელიც გვაცნობს ჩვენი ხალხის გმირულ შრომას სოციალიზმისა და კომუნიზმის საკეთილდღეოდ.

თავფურცელი ამ წიგნისა, მესაჭე ამ გმირული შრომისა, შთაგონება ყველა ჩვენი გამარჯვებებისა არის დიადი კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი, პოლიტბიურო, რომელსაც ლენინურად ხელმძღვანელობს ადამიანთა მოსიყვარულე უდიდესი ადამიანი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი.

დიდება, მას, დღეგრძელობა, მრავალჟამიერ!..

**გ. თათარიშვილი.**

18 დეკემბერი

# „პრავდის" ფურცლებზე

ის, წიგნს მკაცრულობით დიდი არ არის — სულ რაღაც ასორმოცდაათი ფურცელია. მაგრამ თვითეული მათგანი ასახავს შესანიშნავი ცხოვრების დაძაბული მოღვაწეობით აღსავსე ნათელ მიჯნებს. მართალია ბევრი ფაქტი ნახსენებია ძალიან მოკლედ, მაგრამ მათ ავსებს მოვლენები ჩვენი პარტიის, ჩვენი ქვეყნის ბიოგრაფიიდან. ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მთელი ცხოვრება, მთელი რევოლუციური მოღვაწეობა ხომ განუყრელად არის დაკავშირებული პარტიის, საბჭოთა ქვეყნის გმირულ ბედთან, საბჭოთა ხალხის სახელოვან შრომით და საბრძოლო საქმეებთან", — ასე იწყება აკადემიკოსების პ. ფედოსეევისა და ე. ჟუკოვის წერილი „მთელი სიცოცხლე — კომუნიზმის საქმის სამსახურში", რომელიც ეძღვნება პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობის მიერ ახლახან გამოშვებულ წიგნს— „ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი — მოკლე ბიოგრაფიული ნარკვევი".

იტალიის კომპარტიის გამომცემლობა „ედიტორი რიუნიტიმ" იტალიურ ენაზე გამოსცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებისა და სტატიების ოთხტომეული — „ლენინური კურსით" და ორტომეული — „სკკპ ეკონომიური პოლიტიკის საკითხები". იტალიელმა მკითხველმა ცალკე ბროშურად მიიღო აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება პარტიის XXV ყრილობას. ამ გამოცემებისადმი იტალიის საზოგადოებრიობის დიდ ინტერესზე და გამომცემლობის ნაყოფიერ საქმიანობაზე „პრავდის" საკუთარ კორესპონდენტს ესაუბრება გამომცემლობის დირექტორი რ. ბონკიო („დიდი ინტერესი" — მეოთხე გვერდი).

ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად მწყობრში დგება ასობით ახალი სამრეწველო საწარმო, საბჭოთა ადამიანები მილიონობით კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობს იღებენ. ასეთი მაღალი ტემპით გაშლილ მშენებლობას შესაფერისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სჭირდება.

**„მოქმედ სიმძლავრეთა უფრო სრულად გამოყენება, მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვა, შემდგომი ტექნიკური პროგრესი — აი რა არის სამშენებლო მასალების წარმოების ზრდის რეზერვები. პარტიული ორგანიზაციების, დარგის კომუნისტების ვალია სათავეში ჩაუდგნენ მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების გზების შემოქმედებით ძიებას. პარტიული სიმტკიცით და მიზანდასახულობით უნდა ვაღწევდეთ მშენებლობის შემდგომ ინდუსტრიალიზაციას, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, და ხუთწლედის პირველი წლის წარმატებით დამთავრებით უნდა შევქმნათ ყველა პირობა შემდგომი ნაყოფიერი მუშაობისათვის",** — ნათქვამია გუშინდელი „პრავდის" მოწინავე წერილში **„ხუთწლედის მშენებლობებისათვის".**

გავაძლიეროთ გეგმების, ეკონომიური სტიმულების, მართვის მთელი სისტემის ზეგავლენა საბოლოო სახალხო-სამეურნეო შედეგების მიღწევაზე — ასეთი ამოცანა წამოაყენა სკკპ XXV ყრილობამ. ამოცანა ერთობ რთული და მრავალწახნაგოვანია. მისი წარმატებით გადაწყვეტისათვის აუცილებელია სამეურნეო მექანიზმის, განსაკუთრებით დაგეგმვის მაჩვენებლების, საწარმოებისა და სამინისტროების საქმიანობის შეფასების სისტემის სრულყოფა.

ამ დარგში გარკვეულ პრაქტიკულ ღონისძიებებს ახორციელებენ სამეურნეო ორგანოები, რომელთა შესახებაც წერენ ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატები **ი. მუნტიანი** და **გ. კიპერმანი** წერილში **„საბოლოო შედეგების მიხედვით".** (მეორე გვერდი).

მეექვსე გვერდზე გამოქვეყნებულ კორესპონდენციაში **„მოსკოვის დრო"** (რუბრიკა — **„მიმდინარეობს ექსპერიმენტი"**) ნათქვამია, რომ მომავალი წლიდან ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის ერთ-ერთ მიკრორაიონში დაიწყება ოცი ახალი ელექტრონული საათის მონტაჟი. საათების ზუსტ მუშაობას უზრუნველყოფენ კვარცის გენერატორები.

ПРАВДА

# ჰ. ფიტჯერალდი თბილისიდან გაემგზავრა

**ირლანდიის** საგარეო საქმეთა მინისტრი ჰარეც ფიტცჯერალდი, რომელიც საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება, 18 დეკემბერს თბილისიდან ლენინგრადს გაემგზავრა.

ირლანდიის, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმებით მორთულ აეროდრომზე ჰ. ფიტცჯერალდი გააცილეს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ საგარეო საქმეთა მინისტრმა შ. დ. კიკნაძემ და სხვა ოფიციალურმა პირებმა. (საქინფორმი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ. ი. ბრეჟნევის დაბადების 70-ე წლისთავი

# ლენინური კურსით!



ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი

(სურათი გადაღებულია ქ. რუსთავში 1966 წლის 30 ოქტომბერს).
ვლ. გინზბურგის ფოტო („კომუნისტი").

საბჭოთა საზოგადოების ეკონომიური და სოციალური პროგრესი — ეს არის რუსეთის ფედერაციის, უკრაინისა და ყაზახეთის, ბელორუსიისა და მოლდავეთის, შუა აზიის, ბალტიისპირეთის, ამიერკავკასიის რესპუბლიკების პროგრესი. მთელი ქვეყნის ფარგლებში შექმნილი ერთიანი სამეურნეო ორგანიზმი ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის მტკიცე მატერიალური საფუძველია.

ქართველი მუშებისა და გლეხების, საქართველოს ინტელიგენციის დაუცხრომელი შრომის მეოხებით საქართველოს სახალხო მეურნეობას, მის კულტურას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მთელი საბჭოთა კავშირის ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაში.

ლ. ი. ბრეჟნევი

## მომავლის სახელით

ვენი კომუნისტური მორალი სამართლიანად იღებს მემკვიდრეობად და ავითარებს კაცობრიობის მიერ გამომუშავებულ ზნეობის ჰუმანისტურ ნორმებს. შრომისმოყვარეობა, პატიოსნება, თავმდაბლობა, საკუთარი ღირსების გრძნობა, ამხანაგობა, ურთიერთპატივისცემა — ყოველივე ეს საბჭოთა ადამიანის მორალური სახის განუყოფელი ნიშნებია, — ეს შესანიშნავი სიტყვები ლ. ი. ბრეჟნევს ეკუთვნის. და საგულისხმოა, რომ ეს სიტყვები მან თქვა ლენინური კომკავშირის ყრილობაზე, ახალგაზრდობას რომ მიმართავდა.

ჩვენ ყველანი ვგრძნობთ, თუ თანდათან როგორ იზრდება და მტკიცდება პარტიის კეთილი და მომთხოვნი ყურადღება ახალგაზრდა თაობის აღზრდისადმი.

ამ საქმეში პარტია უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ლიტერატურასა და ხელოვნებას, მხატვრული ინტელიგენციის იდეური სიმწიფისა და პროფესიული ოსტატობის საკითხებს. ამის ახალი დადასტურებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „შემოქმედებითს ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ", ჩვენი კულტურის მომავალზე ბრძნული ზრუნვით რომ არის გამსჭვალული.

დიდი მღელვარებით ვიგონებ პარტიის XXV ყრილობის დღეებს. მე ბედნიერება მქონდა კომუნისტთა ამ დიდი ფორუმის დელეგატი ვყოფილიყავი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მოხსენებამ ჩვენ ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის მიმზიდველი პერსპექტივები გადაგვიშალა და მისი სოციალური, ეკონომიური და კულტურული განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული გრანდიოზული პროგრამა დაგვისახა. ყრილობაზე ბევრი კეთილი და გულშიჩამწვდომი სიტყვა ითქვა საბჭოთა ადამიანზე, მისი საბრძოლო და შრომითი გმირობის სიდიადეზე, მის მაღალ ზნეობრივ თვისებებზე. პარტიამ ერთხელ კიდევ ნათელყო თავისი მოღვაწეობის ღრმა ჰუმანისტური აზრი.

როგორ შემიძლია მე, ანდა ყველა იმათ, ვინც XXV ყრილობაზე იყო ან შემდეგ მის მასალებს დიდის ყურადღებით კითხულობდა და სწავლობდა, რომ დავივიწყო ამხანაგ ბრეჟნევის დიდებული სიტყვები ზნეობრივი აღზრდის ამოცანებზე, საბჭოთა ადამიანის სიტყვისა და საქმის ერთიანობაზე!

პარტიული დოკუმენტებიდან, ჩვენი პრესის მასალებიდან ცნობილია, რომ ჯერ კიდევ არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, საქართველოში კომუნისტური მორალის ნორმებიდან გადახვევებს ურიგდებოდნენ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ, რომელიც, როგორც ჩვენ ვიცით, ლეონიდ ილიას-ძის ინიციატივით იქნა მიღებული, ხელი შეუწყო, რომ რესპუბლიკაში ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპები აღდგენილიყო, ზნეობრივი ატმოსფერო გაჯანსაღებულიყო. ამ მნიშვნელოვანი საქმისაგან განზე საქართველოს მწერლებიც არ დარჩენილან, ისინი აქტიურად ეხმარებოდნენ პარტიას, რათა წარსულის შეცდომები აღმოფხვრილიყო.

ზნეობრივი აღზრდის პრობლემა დღეს მთელი საბჭოთა შემოქმედებითი ინტელიგენციის ფიქრისა და ყურადღების ცენტრშია. როცა XXV ყრილობაზე კრემლის სასახლეში გაისმა ნათელი, მკაფიო სიტყვები, რომ არაფერი ისე არ ზრდის პიროვნებას, როგორც აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია, საზოგადოებრივი მოვალეობისადმი შეგნებული დამოკიდებულება, ყველა ჩვენთაგანი, მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები, თეატრისა და კინოს მუშაკები, ალბათ ერთსა და იმავეს ვფიქრობდით: **აი, როგორი უნდა იყვნენ გმირები, ჩვენი დროის გმირები.**

ამ გზას ჩვენ პარტია გვიჩვენებს. ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის გამონათქვამები ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე, ის განსაკუთრებული ყურადღება, რომელიც მან XXV ყრილობაზე კომუნისტური მორალის ურყევ პრინციპებთან მჭიდროდ დაკავშირებულ ზნეობრივ ძიებათა თემას დაუთმო, ჩვენ იმას გვასწავლის, რომ **ყოველ ჩვენ ნაწარმოებს კიდევ და კიდევ ვამოწმებდეთ პარტიულობისა და ხალხურობის მაღალი კრიტერიუმებით. ნამდვილად ღირს სერიოზულად ვფიქრობდეთ იმაზე, ჩვენს წიგნებში საკმაოდ აქტიურად ვუჭერთ თუ არა მხარს ისეთ ადამიანურ თვისებებს, როგორიც არის პრინციპულობა და პატიოსნება, ყოველთვის გაბედულად ვამხილებთ თუ არა ყველაფერს, რაც კომუნისტურ მორალს ეწინააღმდეგება.**

ამხანაგ ბრეჟნევის გამოსვლები ჩვენ მოგვიწოდებს, რომ მასშტაბურად ვაზროვნებდეთ, დიდ იდეურ-მხატვრულ ამოცანებს ვისახავდეთ. მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის ფუძემდებლურ პრინციპებს რომ ავითარებენ და აღრმავებენ, ეს გამოსვლები ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს შემოქმედებითი ძიებისა და თამამი შემართებისათვის განგვაწყობს.

ლიტერატურის ძალა და ზემოქმედება განუზომელია. ხალხში ამბობენ: უწიგნოდ კაცი ბრმააო.

ჩვენ, მწერლები მოვალენი ვართ, ეს მუდამ გვახსოვდეს.

უეჭველია, მკითხველთა მომავალი თაობები ჩვენს ნაწარმოებებს მკაცრი საზომით გადაარჩევენ და თვითონ გადაწყვეტენ, რომელი წიგნებია განწირული მტვრიანი თაროებისათვის და ჩვენი განუმეორებელი წლების მოწმეებად რომლები დარჩება.

ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ ეს მოწმეები მართალნი და პატიოსანნი იყვნენ.

ამას მოელის ჩვენგან ხალხი. ამისაკენ მოუწოდებს მწერლებს ჩვენი პარტია.

ნოდარ დუმბაძე.

კრემლიდან მიღებული სტრიქონების სითბო

## მუდამ პარტიასთან ერთად

პარტიის უზენაესი ჰუმანური მიზანი

ყოველ ადამიანს აქვს დაუვიწყარი, ბედნიერი დღე ცხოვრებაში და მისი მოგონება სამუდამოდ თან დაჰყვება. ამ დღეს უმადლის იგი ბევრ თავის წარმატებას, ამ დღის სითბო მატებს შრომით ენთუზიაზმს, კარგი საქმის კეთების დაუოკებელ სურვილს.

თვითეულ ჩვენგანს ბევრი ასეთი ბედნიერი დღე გასთენებია. ჩვენს მკერდზე გმირის ოქროს ვარსკვლავიც აკიაფებულა, ხალხის დიდი ნდობაც — დეპუტატობაც დაგვიმსახურებია, ჩვენი პარტიის დიდი ფორუმების მონაწილეც ვყოფილვართ, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდებაც მიგვიღია...

ამ დღეებმა განსაზღვრეს ჩვენი მომავალი და სამუდამო საპატიო ვალდებულებად გვარგუნეს დიდი ბედნიერება — ვიყვნეთ სამშობლოს შემდგომი ძლიერებისა და აყვავებისათვის თავდადებული ბრძოლის წინა ხაზზე, გამოვიჩინოთ პირადი საქმის დიდი ერთგულება, მაღალი პასუხისმგებლობა, მტკიცე დისციპლინა. და ჩვენ ამით ვამაყობთ!

დიდია მაგალითის ძალა, და ეს მაგალითიც ბევრ ჩვენს ახლო თანამებრძოლს, თუ შორეულ „მეტოქეს" სოციალისტურ შეჯიბრებაში უკეთესი შრომის და თავდადებისათვის მოუწოდებდა, ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში შემორჩენილ მანკიერებათა წინააღმდეგ ბრძოლის ჟინს უღვივებდა.

ეს დიდ სიამაყეს გვგვრის, რადგან ამ ბრძოლამ უკვე მოიტანა გარკვეული მნიშვნელოვანი შედეგი. საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში განმტკიცდა სახელმწიფო დისციპლინა, დაწინაურდა სახალხო მეურნეობის აქამდე ჩამორჩენილი დარგები, ყველა რგოლში, ყველა სფეროში გაუმჯობესდა საერთო მუშაობის ხარისხი.

ეს ფაქტები ჩვენ შემთხვევით როდი გავიხსენეთ დღეს, ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის დაბადების 70-ე წლისთავზე. ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მამობრივ ზრუნვას იჩენს და ჩვენს ბრძოლას, შემართებას ყურადღებას არ აკლებს.

ცნობილია, რომ სწორედ მისი პირადი ინიციატივით იქნა მიღებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრკ მინისტრთა საბჭოს ისტორიული დადგენილება „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ". ამ ისტორიულმა დოკუმენტმა განსაზღვრა რესპუბლიკის მრეწველობის და სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებანი უახლოეს წლებში. ამ დადგენილებით გათვალისწინებული ბევრი ობიექტი წარმატებით შენდება.

ხანმოკლე პერიოდში რესპუბლიკის პარტიული და სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესებისათვის მიღებული აგრეთვე სხვა ისტორიული დოკუმენტები იმას მოწმობს, თუ რა მამობრივ ზრუნვას, რაოდენ დიდ ინტერესს იჩენს ამხანაგი ლეონიდ ილიას-ძე ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი აყვავებისათვის.

მაგრამ ეს ზრუნვა მარტო ამით როდი გამოიხატება!

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ეს ჭეშმარიტად დიდბუნებოვანი, დიდი სახელმწიფო საქმეებით უაღრესად დატვირთული ადამიანი ყოველთვის პოულობს იმის დროს, რომ პირადად გაესაუბროს საქართველოს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის წარმომადგენლებს, მამობრივად მიულოცოს მათ მიღწეული წარმატებები, თავისი გულის დიდი სითბო უწილადოს მათ და შრომის ახალი ენთუზიაზმით აღანთოს ისინი.

და ეს დიდი ბედნიერება გვხვდა ჩვენ წილად. ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძეს ჩვენი წერილებით გავაცანით ჩვენი წარმატებები და პასუხად არა მარტო მილოცვა, არამედ განსაკუთრებული მზრუნველობით გამთბარი წერილობითი პასუხი მივიღეთ.

**დღეს, როცა ჩვენი ქვეყანა, მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობა დიდი სიყვარულით ულოცავს ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძეს დაბადების 70-ე წლისთავს, ჩვენც გვინდა კომუნისტური სალამი მივაწვდინოთ მას და გულითადი მადლობა ვუთხრათ მშვიდობისათვის, ხალხის კეთილდღეობისათვის, მშრომელი ადამიანის ბედზე ზრუნვისათვის, საქართველოს, მისი ადამიანების შრომის ესოდენ დიდი დაფასებისათვის.**

ჩვენ არასოდეს არ ვივიწყებთ ძვირფას ლეონიდ ილიას-ძის სიტყვებს, რომლებითაც საქართველოს მშრომელების საქმიანობა შეაფასა: საქართველოს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის და ინტელიგენციის დაუცხრომელი მუშაობის წყალობით საქართველოს სახალხო მეურნეობას, მის კულტურას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მთელი საბჭოთა კავშირის ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაშიო.

ეს დიდი შეფასება გვახარებს, დიდ სიამაყეს გვგვრის, მაგრამ უფრო მეტ პასუხისმგებლობას გვაკისრებს, ამიტომ მუდამ გვახსოვს მისი მგზნებარე მოწოდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე, რომ საჭიროა **„უფრო ენერგიულად გამოვავლინოთ ხელუხლებელი რეზერვები, უფრო ფართოდ გავავრცელოთ საუკეთესოთა გამოცდილება, დავეხმაროთ ჩამორჩენილებს ჩამორჩენის დაძლევაში... უნდა ვისწავლოთ უფრო ეფექტიანი ბრძოლა ეფექტიანობის ამაღლებისათვის".**

ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს მეთაურის გულითადმა ზრუნვამ ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ბედზე, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის და ინტელიგენციის საქმიანობისადმი მუდმივმა ინტერესმა ჭეშმარიტად დამქვრელური ხასიათი მისცა კოლექტივების საქმიანობას ეფექტიანობის ამაღლებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

და დღეს გვინდა ვაცნობოთ ლეონიდ ილიას-ძეს, რომ საქართველოს მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა თავის პირობას ღირსეულად ასრულებს. მეათე ხუთწლედის პირველი წლის სახელმწიფო გეგმა ყველგან განაღდებული იქნება!

ამაზე მეტი სამაყო რა უნდა ჰქონდეს მშრომელ ადამიანს? მაგრამ ჩვენ კიდევ უფრო მეტი სიამაყის უფლებაც გვაქვს, რადგან სახელმწიფო გეგმების შესრულებისათვის გაშლილ საერთო-სახალხო ბრძოლას კიდევ უფრო ფართო გაქანება მისცა თვითეული ჩვენთაგანის მიერ დაწყებულმა თაოსნობამ და წარმატებაც დაიჩქარა.

კრემლიდან მიღებული წერილების პასუხად დაიბადა საქართველოს მრეწველობაში ისეთი მნიშვნელოვანი თაოსნობები, როგორიც არის: **„არცერთი ჩამორჩენილი საწარმო — ჩვენი მიზეზით", „ყოველ თვეში ერთ დღეს ვიმუშაოთ დაზოგილი მასალებით", „ყოველი მუშა იქნება ნოვატორი", „ყოველ სანგრევს — მაქსიმალური დატვირთვა", „არცერთი ჩამორჩენილი, არცერთი დისციპლინის დამრღვევი ჩვენ გვერდით", „ხუთწლედი — 4 წელიწადში"...**

„რუსთაველ მეტალურგთა პატრიოტული თაოსნობა „არცერთი ჩამორჩენილი, არცერთი დისციპლინის დამრღვევი ჩვენ გვერდით" საქართველოს მშრომელთა საყოველთაო დევიზი გახდა მეათე ხუთწლედის პირველ წელიწადს. იგი მარტო ოფიციალური შეჯიბრების ფორმა როდია, თვითეული კოლექტივის შინაგან მოთხოვნად, პასუხისმგებლობის და დისციპლინის საერთო საზომად იქცა, და დღეს გვინდა გაუზიაროთ ჩვენი სიხარული „კომუნისტის" მკითხველებს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა რგოლში განმტკიცდა სოციალისტური დისციპლინა, ამაღლდა პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის, უფრო ხალისიანი გახდა შრომა, კვლავ დაიბადა დიდი რწმენა...

**„ჩვენ ჯერ კიდევ არ მიგვიღწევია კომუნიზმისათვის, მაგრამ მთელი მსოფლიო ხედავს, რომ ჩვენი პარტიის საქმიანობის, მისი სწრაფვის მიზანია ყველაფერი გააკეთოს ადამიანის კეთილდღეობისათვის, ადამიანისათვის. პარტიის სწორედ ეს უზენაესი ჰუმანური მიზანი ანათესავებს მას ხალხთან, მტკიცედ, განუხრელად აკავშირებს ყველა საბჭოთა ადამიანთან".**

ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძის ეს სიტყვები თქმული სკკპ XXV ყრილობაზე, რომლის დელეგატიც ზოგიერთი ჩვენგანი იყო, ჩვენი მუშათა კლასის, მთელი საბჭოთა ხალხის გულისთქმაა, მისი ფიქრის, პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულების გამოხატულებაა, რადგან ვიცით, რომ არასოდეს მოგვაკლდება პარტიის დიდი ზრუნვა, განუხრელი დახმარება, მგზნებარე გულთბილი სიტყვები და მოწოდება.

**ევგენია გალუსტოვა** — თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ნარიყალას" მუშა, ლენინის ორდენოსანი, **გივი ბუგუშვილი** — ფოთის საზღვაო ნავსადგურის უფროსი მეამწე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, **გიორგი კურტანიძე** — თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელი ქარხნის მეკოპეთა ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, **ოთარ ლომიძე** — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე, **გივი რიმინცთაველი** — თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნის" გამომჭრელი, სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, **ლეონტი ტყებუჩავა** — ტყვარჩელის ქვანახშირის № 2 შახტის მნგრეველი, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

კრემლიდან მიღებული სტრიქონების სითბო

## სოფლის მშრომელთა მადლობა

ნათქვამია, დეკემბერი ახალი წლის კარიბჭეაო, ადამიანები კი, განსაკუთრებით სოფლის მშრომელები, როცა კარიბჭესთან დგანან, ერთგვარი კრიტიკული თვალით გადახედავენ ხოლმე წლის განვლილ დროს, და რაც არ უნდა წარმატებები ჰქონდეთ, ახალი წლის დადგომამდე ფიქრობენ, ანგარიშობენ, ეძებენ რეზერვებს, რომ მომავალ წელს უფრო მეტ წარმატებებს მიაღწიონ. წლევანდელი დეკემბერი კი — ხუთწლედის მეორე წლის კარიბჭე — განსაკუთრებულია.

ჩვენი პარტიის ლიდერის ლ. ი. ბრეჟნევის დაბადების 70-ე წლისთავის ღირსეულად შეხვედრაზე რომ ვფიქრობდით, გაკეთებულსა და გასაკეთებელზეც ვზრუნავდით, რომ წლევანდელი წელიც წარმატებით დაგვემთავრებინა და, როგორც ხშირად ვამბობთ ხოლმე, მტკიცე საფუძველი ჩაგვეყარა ახალი ხუთწლედის მომდევნო მეორე წლის უხვ მოსავალს.

ამ დღეებში, დიდ საიუბილეო დღეებში, სამხრეთული თბილი ზამთრის პირველი თვის დღეებში, მეჩაიეებისადმი და თამარაშენელი უბრალო მწველავისადმი ლ. ი. ბრეჟნევის გულთბილი მილოცვის წერილებს ერთხელ კიდევ რომ ვეცნობით, მომავლისათვის ჯანსაღი გულითა და გონებით, სალი თვალით ვზრუნავთ და ვზომავთ იმ რეზერვებს, რომლებიც ჩვენში, ყველა სოფელში ბლომად გვაქვს. ჩვენ უფლება არცა გვაქვს რომ ახალ რეზერვებზე, მის ამოქმედებაზე არ ვიფიქროთ, ვინაიდან ჩვენზე, სოფლის მშრომელებზე ასე დაუცხრომლად ზრუნავს ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი.

სოხუმში გამართულ მეჩაიეთა მიტინგზე, რომელიც საქართველოს მეჩაიეთა მიერ ნაკისრი გადიდებული ვალდებულებების შესრულების გამო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მისალოცი დეპეშის მიღებას მიეძღვნა, „მწვანე ოქროს" პლანტაციებისა და მრეწველობის მუშაკებმა ლეონიდ ილიას-ძეს პირობა მივეცით, სასახელოდ შევასრულებთ წლევანდელ გადიდებულ ვალდებულებებს და მტკიცე საფუძველს ჩავუყრით მეათე ხუთწლედის მეორე წლის უხვ მოსავალსო.

საქართველოს სოფლის ყველა მშრომელის საერთო აზრს გამოვხატავთ, საერთო გრძნობას გამოვთქვამთ, თუ ვიტყვით, რომ ლეონიდ ილიას-ძის მილოცვის გულითადი სიტყვები სიამაყით, მოვალეობის შესრულების მაღალი შეგნებით ავსებს ჩვენს გულს და თვითეულ ჩვენგანს უნერგავს მტკიცე რწმენას, რომ მეათე ხუთწლედის პირველი წლის დავალება, ისევე როგორც მთელი ხუთწლედის გეგმა, სასახელოდ შესრულდება, პირნათლად განხორციელდება, რეალურ პრაქტიკულ საქმეებად იქცევა.

ამის ერთ-ერთი დამადასტურებელი ის არის, რომ **ჩვენმა მეჩაიეებმა ახალი ხუთწლედის პირველ წელსვე აიღეს ბოლო მეხუთე წლის ზღუდე, სამშობლოს მისცეს 356 ათას ტონაზე მეტი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, მემინდვრეებმა პირველად აიღეს 200 ათას ტონიანი მიჯნა.**

სახელმწიფო ბეღელში ამდენი მარცვალი ჯერ არ ჩაყრილა.

წარმატებით შესრულდა აგრეთვე ბოსტნეულის, ხილის, შაქრის ჭარხლის დამზადების გეგმები. მალე შესრულდება ციტრუსებისა და მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები. საშემოდგომო კულტურების თესვისა და ახალი ვენახების გაშენების, ვენახებისა და ჩაის პლანტაციების მოვლის სამუშაოების დავალებათა განაღდებით მომავალი წლის უხვ მოსავალს კარგი საფუძველი ჩავუყარეთ და სრული იმედი გვაქვს, რომ გაისად უფრო საამაყო მაჩვენებლებს მივაღწევთ.

აი ჩვენი შრომითი პატაკი ჩვენს დიად სამშობლოს, მშობლიურ პარტიას.

კარგად გვახსოვს, გასულ ზაფხულს, 21 აგვისტოს რა გულთბილად მოგვილოცა თამარაშენელებს ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა. ეს მარტო თარაევასადმი გამოთქმული გულთბილი სიტყვები როდი იყო. **იგი საქართველოს ყველა მეცხოველემ თავისად მიიღო და ჩვენი პარტიის ლიდერისათვის მიცემულ სიტყვას საქმით ასრულებენ.**

**მადლობა. ჩვენი სოფლის მშრომელთა ალალი გულით ნათქვამი მადლობა გვინდა ვუძღვნათ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს იმისათვის, რომ ასე თავგამოდებით, მთელი შეგნებითა და პრინციპულობით იბრძვის საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის ამაღლებისათვის, მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის!**

მშვიდობას, მშვიდობიან შრომას კი, როგორც ძველები იტყვიან ხოლმე, მთების დაძვრაც შეუძლია.

დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ 31 წელიწადზე მეტი გავიდა. ამ მშვიდობიანი წლებისათვის, ამ მშვიდობიანი შრომისა და ცხოვრებისათვის მადლობას ვუხდით საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, მის პოლიტბიუროს ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მეთაურობით.

**ხანგრძლივი და ჯანმრთელი სიცოცხლე მას ჩვენი ქვეყნის შემდგომი ძლიერებისათვის, მშვიდობიანი შრომისათვის.**

**თარამარ თარაევა,**
ცხინვალის რაიონის თამარაშენის საბჭოთა მეურნეობის მწველავი.

**ამირან ტორონჯაძე,**
მახარაძის რაიონის ლიხაურის კოლმეურნეობის მეჩაიე.

## წიგნები და სურათები მოგვითხრობენ...

**სკკპ** ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის დაბადების 70-ე წლისთავს ეძღვნება წიგნებისა და სურათების გამოფენა, რომელიც კარლ მარქსის სახელობის ბიბლიოთეკაში გაიხსნა.

ექსპოზიცია იხსნება მხატვარ ი. პენზოვის პორტრეტის — „ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი" — ფერადი რეპროდუქციით. სტენდზეა პარტიის საპროგრამო დოკუმენტები — ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის გამოსვლები სკკპ XXIII-XXIV და XXV ყრილობებზე. წარმოდგენილია აგრეთვე ლ. ი. ბრეჟნევის ნაშრომები, რომლებშიც შემოქმედებითად არის განვითარებული მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება: „ლენინის კურსით" (სიტყვები და სტატიები), „პარტიული მშენებლობის აქტუალური პრობლემების შესახებ", „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძოლა მთელი რევოლუციური და მშვიდობისმოყვარე ძალების ერთიანობისათვის", „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის შესახებ", „მშრომელთა კომუნისტური აღზრდის შესახებ", „თანამედროვე ეტაპზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ეკონომიური პოლიტიკის ძირითადი საკითხების შესახებ", „ლენინის საქმე ცოცხლობს და იმარჯვებს" და სხვ. აქვეა ბროშურა, რომელშიც დაბეჭდილია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის დაარსების 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმული სიტყვის ტექსტი, წარმოდგენილია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის წერილი საქართველოს სსრ ხელმძღვანელებისადმი, ჩვენი მეჩაიეების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულების გამო.

სინამდვილის ღრმა ანალიზზე დაფუძნებული თეორიული განზოგადებები, დებულებები, დასკვნები და რეკომენდაციები, რომლებსაც ეს ნაშრომები შეიცავს, დიდი წვლილია მეცნიერული კომუნიზმის თეორიაში, მართვის მეცნიერებასა და პრაქტიკაში.

ერთ-ერთი სტენდის მასალები ასახავს ლ. ი. ბრეჟნევის საერთაშორისო მოღვაწეობას, მის დაუცხრომელ ბრძოლას სოციალისტური თანამეგობრობის ერთიანობის, ძლიერების განმტკიცებისათვის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის შეკავშირებისათვის, მის უდიდეს წვლილს დაძაბულობის შენელებისათვის, ხალხთა მტკიცე მშვიდობისა და უშიშროებისათვის. (საქინფორმი).

## ცხოვრების ფურცლები—ეპოქის ფურცლები

**სურათებზე:** (მარცხნიდან) — **1943 წლის აპრილი. მე-18 არმიის პოლიტგანყოფილების უფროსი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი (პირველ რიგში მარჯვნიდან პირველი) 107-ე მსროლელი ბრიგადის საბრძოლო პოზიციებზე („მცირე მიწა" ნოვოროსიისკის ახლოს); ზაპოროჟიე. 1947 წელი. ლ. ი. ბრეჟნევი (ცენტრში) ქარხანა „ზაპოროჟსტალში" აღდგენითი სამუშაოების პერიოდში; ლ. ი. ბრეჟნევი ყაზახეთის მეყამირეებს შორის; მოსკოვი. 1961 წლის აპრილი. კრემლში ლ. ი. ბრეჟნევი ლენინის ორდენსა და საბჭოთა კავშირის გმირის მედალს „ოქროს ვარსკვლავს" გადასცემს სსრ კავშირის მფრინავ-კოსმონავტს ი. ა. გაგარინს; მოსკოვი. 1976 წლის 30 აპრილი. ლ. ი. ბრეჟნევის შეხვედრა მოსკოვის ი. ა. ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის მუშებთან.**

(საქტასის ფოტოქრონიკა).



# გმირულ დღეთა გახსენება




## თანაპოლკელთა შეხვედრები ლ. ი. ბრეჟნევთან

1942 წლის 22 ივნისს ჰიტლერული გერმანია ვერაგულად დაესხა თავს ჩვენს ქვეყანას. კომუნისტური პარტიის მოწოდებაზე მთელი საბჭოთა ხალხი აღსდგა ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბრძოლველად. საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით პარტიის ბევრი თვალსაჩინო მოღვაწე, ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები შეიარაღებულ ძალებში წარგზავნეს. მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების, სამხარეო და საოლქო კომიტეტების მდივნები ჩადგნენ მოქმედი არმიის რიგებში. მათ შორის იყო ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი.

სამხრეთის ფრონტის პოლიტსამმართველოს უფროსის მოადგილე, შემდეგ მე-18 არმიის პოლიტგანყოფილების უფროსი, უკრაინის მე-4 ფრონტის პოლიტსამმართველოს უფროსი ლ. ი. ბრეჟნევი აქტიურად მონაწილეობდა საბჭოთა არმიის ბევრ დიდ ოპერაციაში კავკასიაში, შავი ზღვისპირეთში, ყირიმსა და უკრაინაში, ხოლო შემდეგ ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ განმათავისუფლებელ ლაშქრობაში.

ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის სახელოვანი მხედრულ-პარტიული მოღვაწეობის ამსახველ ლიტერატურას ახლახან გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" შემატა რუსულ და ქართულ ენაზე გამოცემული საინტერესო, უხვად დასურათებული ალბომი „გმირულ დღეთა გახსენება", რომლის ავტორი და შემდგენელია სამამულო ომის მონაწილე, ჟურნალისტი მიხეილ დავითაშვილი (რედაქტორი — ზ. ლომიძე, მხატვარი — დ. ბაშელეიშვილი).

მოვუსმინოთ თვით ავტორს: „ჟურნალისტის უბის წიგნაკში ღირსსახსოვარ ჟამს ჩაწერილი ლაკონიური სტრიქონები, შემდგომში საგაზეთო კორესპონდენციებად და ნარკვევებად რომ იქცევიან, ჩვენი ცხოვრების მატიანის ჭეშმარიტი ფურცლებია. ეს ჩანაწერიც ერთი ასეთი ფურცელთაგანია".

1974 წელს განთავისუფლების 30-ე წლისთავზე ნოვოროსიისკს გმირი ქალაქის წოდება მიენიჭა. ამ დიდმნიშვნელოვანი მოვლენის — საპატიო ჯილდოების გადაცემის გამო სექტემბერში ნოვოროსიისკს მრავალრიცხოვან სტუმრებს შორის ეწვივნენ მისი განმათავისუფლებლები — ყოფილი მე-18 არმიის ვეტერანები.

ზეიმს განსაკუთრებულ ელფერს, სითბოსა და სიხალისეს მატებდა ყველაზე სასურველი და ძვირფასი სტუმარი, ვეტერანთა „თანაპოლკელი, ჯარების სული და გული, მე-18 არმიის პოლიტგანყოფილების ყოფილი უფროსი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი, ის, ვინც ამ არმიასთან ერთად განვლო მთელი საბრძოლო გზა, უშუალოდ მონაწილეობდა ტუაფსესთან და ნოვოროსიისკისათვის გამართულ გმირულ ბრძოლებში, ტამანისა და უკრაინის განთავისუფლებაში".

ავტორი, ნოვოროსიისკში გამართული ამ დიდებული დღეების მონაწილე, ზეიმის ფონზე თანმიმდევრულად გვესაუბრება მე-18 არმიის მხედრული დიდებით მოსილ საბრძოლო გზაზე.

„სამი დღის ურთიერთობით, — წერს იგი, — თანაპოლკელების შეხვედრით ლეონიდ ილიას-ძესთან ზეიმის მონაწილენი მოწმე გავხდით იმ დიდი სიყვარულისა, რომლითაც ნოვოროსიისკის მშრომელები და სტუმრები შეხვდნენ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს, როგორც სამამულო ომის ერთ-ერთ გამოჩენილ მოღვაწეს და მისი ბრწყინვალე ფურცლის — ნოვოროსიისკის შტურმის განმხორციელებელს, როგორც კავკასიაში მტერზე ჩვენი გამარჯვების ერთ-ერთ ორგანიზატორსა და უშუალო მონაწილეს".

• • •

სურათებზე: წიგნის „გმირულ დღეთა გახსენება" ყდა. მარჯვნივ ზემოდან—წიგნის ილუსტრაციები. 1. „მცირე მიწა". 1943 წელი. მე-18 არმიის პოლიტგანყოფილების უფროსი ლ. ი. ბრეჟნევი პარტიული აქტივის თათბირის მონაწილეთა ჯგუფში; 2. ლ. ი. ბრეჟნევის შეხვედრა თანაპოლკელებთან; 3. დასვენების იშვიათ საათებში 1943 წლის ზაფხულში მე-18 არმიის პოლიტგანყოფილების უფროსი პოლკოვნიკი ლ. ი. ბრეჟნევი იმყოფებოდა ხოლმე ნოვოროსიისკის მახლობლად დაბა მარინა როშჩას ლენინის ქუჩაზე მდებარე ანა კასიანეს ასულ სახნოს სახლში. ამ სურათზე თქვენ ხედავთ ანა კასიანეს ასულს რომელიც ეგებება ძვირფას სტუმარს. 1974 წლის სექტემბერი.







## სამხედრო მუზეუმის ახალი ექსპოზიცია

### ინტერესით ეცნობიან იშვიათ ფოტოდოკუმენტებს

**თბილისის** გარნიზონის ნაწილების მეომრები, საქართველოს დედაქალაქის ახალგაზრდობა დიდი ინტერესით ეცნობიან ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების ისტორიის მუზეუმის ახალ ექსპოზიციას, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის დაბადების 70 წლისთავს ეძღვნება.

ექსპოზიციის ფოტოდოკუმენტი დამთვალიერებელთ აცნობენ ლ. ი. ბრეჟნევის სახელოვან ცხოვრების გზას, მის დაუცხრომელ ბრძოლას მშვიდობისა და უშიშროებისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, მის თვალსაჩინო სამხედრო მოღვაწეობას. ექსპოზიციის ნაწილი ეძღვნება კავკასიის ისტორიულ ბრძოლასთან დაკავშირებულ სამახსოვრო ამბებს, რომელშიც ლ. ი. ბრეჟნევი უშუალოდ მონაწილეობდა. ამ დროს იგი იყო ამიერკავკასიის ფრონტის შავი ზღვის ჯარების ჯგუფის პოლიტსამმართველოს უფროსის მოადგილე, შემდეგ კი მე-18 არმიის პოლიტგანყოფილების უფროსი.

აი ფოტოსურათი, რომელიც 1942 წლის სექტემბერშია გადაღებული ტუაფსესათვის ბრძოლების დროს. ბრიგადის კომისარი ლ. ი. ბრეჟნევი პარტიულ ბილეთს აძლევს ბრძოლების მონაწილეს ა. მალოვს. ბევრ ფოტოსურათზე აღბეჭდილია ლ. ი. ბრეჟნევი ნოვოროსიისკთან გააფთრებული ბრძოლების დღეებში.

გმირული სადესანტო მე-18 არმიის ჯარებში, რომელსაც გენერალი კ. ნ. ლესელიძე სარდლობდა, ბევრი ქართველი მეომარი იბრძოდა, ზოგიერთი პირადად შეხვედრია ლ. ი. ბრეჟნევს. ამას მოწმობს მე-18 არმიის ვეტერან — თბილისელებთან ლეონიდ ილიას-ძის გულითადი შეხვედრების ფოტოსურათები, რომლებიც გადაღებულია ნოვოროსიისკში გმირი ქალაქისათვის „ოქროს ვარსკვლავის" მედლისა და ლენინის ორდენის საზეიმო გადაცემის დღეს. (საქინფორმი)

## 📺 ტელევიზია

### 19 დეკემბერი

**პირველი პროგრამით**

10.10 — „დილის ვარჯიში" — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა [illegible]), 10.30 — [illegible] — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — შევისწავლოთ რუსული ენა, 11.45 — „ცეროდენას ეკრანი" (ქართულ ენაზე), 12.05 — კინოაფიშა, 12.35 — საბავშვო კინოს კვირეული, 13.20 — კინოპროგრამა, 14.00 — „საჭადრაკო სკოლა", 14.30 — „მუსიკალური კიოსკი" — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.00 — ახალგაზრდულ გადაცემათა რედაქციების საკავშირო ფესტივალი მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავისადმი (უკრაინის სსრ) გადაცემა მეორე — ფერადი გამოსახულებით (გამეორებით), 16.05 — საერთაშორისო ტურნირი ჰოკეიში: საბჭოთა კავშირი-კანადა — მე-2 და მე-3 პერიოდის გადმოცემა მოსკოვიდან ფერადი გამოსახულებით, 17.15 — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის ლენინური პრემიის ლაურეატის ს. რიხტერის კონცერტი — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.00 — კინომოგზაურთა კლუბი — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.15 — „მხიარული ნოტები" — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.30 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.00 — მხატვრული ფილმი „ორმოცდამეერთე", 21.30 — დოკუმენტური ფილმი „საქართველო: სასიხარულო შეხვედრები". პრემიერა საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიის ნაწარმოები, 22.00 — „პრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.35 — კონცერტი.

**მეორე პროგრამით**

18.05 — მხატვრული ფილმი „უგრიუმ მდინარე" (III სერია), 19.10 — დოკუმენტური ფილმი, 19.35 — კონცერტი, 20.05 — კინონარკვევი „ერევანი", 20.15 — „მუსიკალური კალენდარი", 21.00 — მხატვრული ფილმი „უგრიუმ მდინარე". (IV სერია).

## რადიო

### 20 დეკემბერი

**პირველი პროგრამით**

08.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — ა. მაჭავარიანი — კამერული ნაწარმოებები, 11.45 — „მოწინავე გამოცდილება — ყველას" — საუბარი „პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემა", 12.15 — მღერის ანსამბლი „რუსთავი", 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა" — გალაკტიონ ტაბიძის ლექსები, 12.30 — ვოკალურ კვარტეტ „როიალ-ნაიტსის" კონცერტი, 12.45 — შ. აზმაიფარაშვილი — ფრაგმენტები სუიტიდან „ძველი თბილისის სურათები", 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 15.00 — „მეგობართა ხმები" — გადმოცემა სოციალისტური ქვეყნებიდან, 17.15 — მოსწავლეთათვის — რადიოდადგმა „პავლიკ მოროზოვი", 18.10 — მღერის დ. გამრეკელი, 20.30 — „თეატრი მიკროფონთან" — თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი „გმირთა ვარამი", 23.30 — ქართული კამერული მუსიკა.

## თეატრები

### 19 დეკემბერი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ქეთო და კოტე (დილით), მფრინავი ჰოლანდიელი (საღამოს); შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — კავკასიური ცარცის წრე (საღამოს); კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — გმირთა ვარამი (დილით) მოჩვენებანი (საღამოს); ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ლამურა (დილით), პრემიერა ყარამანს ქალი მოჰყავს (საღამოს); მინიატურების სახელმწიფო — ფული და სიყვარული.

## ამინდი

დღეს დასავლეთ საქართველოში მოღრუბლული ამინდია მოსალოდნელი, უმეტესად უნალექოდ. რიონის ხეობაში აღმოსავლეთის ქარი იქნება, დაბლობ რაიონებში 8-13, მთებში 3 გრადუსი სითბო — 2 გრადუსი ყინვა იქნება.

აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში მოსალოდნელია მცირე ნალექი, ზოგან ნისლი, ტემპერატურა 3-8 გრადუსი სითბო, მთებში ნული — 5 გრადუსი ყინვა.

თბილისში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უმნიშვნელო ნალექი, ტემპერატურა 6-8 გრადუსი სითბო.

## ვადიდებ უძლეველ კავშირს

ამ რუკას დახედეთ, ძმებო,
ამ მხარეს უსაზღვროდ
გაშლილს,
ქვეყანას, სადაც ჩვენ
ვქუხობთ
და სადაც ოცნება ფრთას
შლის
მოხუცის,
ჭაბუკის,
ბავშვის, —
ვადიდებ საბჭოთა კავშირს!

რამდენჯერ გაბედეს რკენა,
ფიქრობდნენ — დავშლით
და წავშლით,
ცალ-ცალკე მოვსპობდნენ
ყველას,
მაგრამ ვერ სძლია და ვერა
ბოროტმა გულმა და ხელმა
მტკიცეს და ერთიან კავშირს!

ამ ძმობას ვზრდიდით და
ვჭედდით
ძახილზე მამულის ძარღვის,
და მერე, ხიშტით და
მკერდით,
მოსკოვთან, ორმოცდაერთში,
ვიცავდით ერების კავშირს!

ვდარაჯობთ ჩვენს წყალს და
ჰაერს,
ვფუსფუსებთ ბაღში და
ზვარში,
გვახარებს პური და ჩაი,
ნახირი — ღრუბელი მთაში.
ხმელეთზე, ზღვაში და ცაში
ვადიდებთ სანუკვარ კავშირს!

მე შენთვის, თბილისის
მიწავ,
გამოვალ თოვლში და ქარში,
და ვინც შენს სიმღერას
იცავს,
შენს ენას —
ერთგულად,
ფხიზლად —
ვადიდებ უძლეველ კავშირს!

დროშების ამღგარა ქარი,
და ცისარტყელების
ზღვაში,
სინათლეს დნეპრის და
მტკვარის,
ანგარის
და ნათელ ხვალის,
რომელსაც არა აქვს
ზღვარი, —
ვადიდებ გულების კავშირს!

შოთა როყვა

## მიფრინავს „კოსმოს-885"

**1976 წლის** 17 დეკემბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-885".

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

# ექსპონატები მოგვითხრობენ

### გამოფენა ხალხთა მეგობრობის მუზეუმში

„**საბჭოთა** კავშირის ხალხთა ლენინური მეგობრობა ფასდაუდებელი მონაპოვარია და ამ მეგობრობას ყოველთვის თვალისჩინივით გავუფრთხილდებით" — ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის ამ სიტყვებით გაიხსნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმის ერთ-ერთ დარბაზში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის დაბადების 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა.

ექსპოზიცია მოგვითხრობს ამბავს ადამიანისას, რომელსაც საბჭოეთის კომუნისტთა პარტიამ დაავალა თავისი საბრძოლო შტაბის — ცენტრალური კომიტეტისა და მისი პოლიტბიუროს ხელმძღვანელობა. აქვეა ლ. ი. ბრეჟნევის პორტრეტი.

ლეონიდ ილიას-ძის მთელი დაუცხრომელი და მრავალმხრივი საქმიანობა სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულის მაგალითია.

ექსპოზიციის ერთ-ერთ თვალსაჩინო ადგილზეა ფოტოსურათები, რომლებიც ასახავს ნოვოროსიისკის დამცველთა გმირობას დიდი სამამულო ომის წლებში. ფოტოსურათები გვიჩვენებს ლეგენდარული „მცირე მიწის" გმირობას. აქ, ფაშისტური ტყვიებითა და ჭურვებით დაცხრილულ პაწაწინა პლაცდარმზე, მებრძოლებს პარტიის სიტყვას აცნობდა, გამარჯვების რწმენას უნერგავდა მე-18 სადესანტო არმიის პოლიტგანყოფილების უფროსი ლ. ი. ბრეჟნევი.

გამოფენის ექსპონატები მრავალმხრივ ასახავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მრავალმხრივ საქმიანობას. სადაც უნდა ყოფილიყო იგი, რასაც კი აკეთებდა, ყოველთვის ხალხთან, ყოველთვის წინა ხაზზე, ყველაზე ძნელ უბნებზე იყო.

დამთვალიერებლები ინტერესით ეცნობიან ფოტოსურათებს, რომლებზეც ასახულია ლეონიდ ილიას-ძის საქართველოში ჩამოსვლა, აღბეჭდილია მისი გულთბილი შეხვედრები აკადემიკოსებთან ე. ქ. ხარაძესთან და ე. ლ. ანდრონიკაშვილთან, აფხაზ დღეგრძელებთან — 110 წლის მეხთი თარყილის ოჯახში. აქ ექსპონირებულია იმ წერილების პირები, რომლებიც ლ. ი. ბრეჟნევმა გამოუგზავნა რესპუბლიკის სახელოვან შრომელებს — სოციალისტური შრომის გმირს მეშახტე ლ. ტყებუჩავას, თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ნარიყალის" მუშას ე. გალუსტოვას, სამხრეთ ოსეთის თამარაშენის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მევენახე თ. თარაევას, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის წარჩინებულ მეფოლადეს ო. ლომიძეს.

გამოფენის ერთ-ერთი ცენტრალური ნაწილი სულ უფრო მჭიდრო და განვითარებად სოციალისტურ სახელმწიფოთა თანამეგობრობას ეძღვნება. ფოტოკადრებში ასახულია ის უდიდესი ყოველდღიური ყურადღება, რომელსაც ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტბიურო, პირადად ლეონიდ ილიას-ძე უთმობენ სოციალისტურ ქვეყნებთან ყოველმხრივი ურთიერთობის შემდგომ განვითარებას. მრავალრიცხოვან ფოტოსურათებზე აღბეჭდილია ლ. ი. ბრეჟნევის შეხვედრები ძმური პარტიათა ხელმძღვანელებთან.

ფოტოკადრში აღიბეჭდა ის მომენტი, როცა 1973 წლის ივლისში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს გადასცეს „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო ლენინური პრემია. ეს დიდი ჯილდო მსოფლიოს ხალხთა საჩუქარია, რადგან ლ. ი. ბრეჟნევის სახელი განუყრელად არის დაკავშირებული ჩვენს პლანეტაზე მყარი და სამართლიანი მშვიდობისათვის ბრძოლასთან.

ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის დაბადების 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენის პირველი დამთვალიერებლები გახდნენ პარტიისა და კომკავშირის ვეტერანები, თბილისის საწარმოთა მოწინავენი, აგრეთვე კუბის ახალგაზრდობის დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით. (საქინფორმი).

• • •



სურათზე: გამოფენის დარბაზში.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# მკითხველის კალმით

● **ჩოხატაური.** მეათე ხუთწლედის პირველი წლის მესამე კვარტალის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის ჩაის ფაბრიკის საწარმოო გაერთიანება სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს და პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოვდა.

გ. ვაჩეიშვილი.

● **ოჩამჩირე.** აფხაზეთის ასსრ კულტურის სამინისტროს, რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებისა და კოლმეურნეობა „საქართველოს" ინიციატივით კულტურის სახლს ორი ათასი მანეთის ღირებულების საჩუქრები გადაეცათ. მათ შორის არის პიანინო, ტელევიზორი, სამასი ცალი წიგნი და სხვ.

დ. შონია.

● **ქობულეთი.** რაიონის კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სუბტროპიკულ ბაღებს ათობით ჰექტარი ახალი პლანტაციები შემატეს. ციხისძირელმა, ჯიხანჯურელმა, ალამბარის, ხალის და ზედა ულიანოვსკის მშრომელებმა სუბტროპიკული ბაღების გაშენების გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს.

მ. დონაური.

### წერილი რედაქციას

## მადლობა გულისხმიერ ადამიანებს

**თბილისიდან** საქართველოს სამხედრო გზით ნალჩიკში ვბრუნდებოდით. ჯვრის უღელტეხილს რომ შევუდექით, მოულოდნელად თოვლი წამოვიდა და მალე მთელი გზა ნამქერით დაიფარა. მანქანები, მათ შორის ჩვენიც, რომელშიც შვილთან ერთად ვისხედით, შეჩერდნენ და ადგილიდან აღარ იძვროდნენ. ბედად, მახლობლად აღმოჩნდა თოვლისა და ზვავსაწინააღმდეგო სადგური. ადრე დილით სადგურის უფროსი, ამხ. სურგულაძე თავის თანამშრომლებთან ერთად განსაცდელში ჩავარდნილი ადამიანების საშველად მოვიდნენ. პირველ რიგში მათ დახმარება გაუწიეს იმ მანქანებს, რომლითაც იავადები და მოხუცები მგზავრობდნენ — დაალევინეს მათ ცხელი ჩაი, გააობეს. შემდეგ ტრაქტორი გამოიძახეს და მანქანებიც რიგ-რიგობით დაიძრნენ...

გვინდა მადლობა გადავუხადოთ გულისხმიერ ადამიანებს გაზეთ „კომუნისტის" საშუალებით.

ოლღა და ალიკ უსოევები

ქ. ნალჩიკი.

### შემთხვევა

## ცეცხლი მანქანაში

**ჭიათურა.** (საქინფორმის კორ.). ქალაქ ჭიათურის პირველი საშუალო სკოლის მოწაფეებმა დაინახეს, რომ მანქანაზე, რომელიც გზატკეცილზე მოჰქროდა, ჩალას ცეცხლი წაჰკიდებოდა, მძღოლი კი აუღელვებლად განაგრძობდა გზას. მერელა მიხვდა, თუ რა საფრთხე ელოდა, როცა ბავშვების ყვირილი გაიგონა, და მყისვე გააჩერა მანქანა.

მძღოლის დასახმარებლად მოაშურა მაღაზიის გამყიდველმა ჩ. ხაჩაპიძემ, იგი მანქანაზე ავარდა და ალმოდებულ ჩალას ყრიდა. მეათე კლასის მოსწავლემ მერაბ ხეფარიძემ, როცა დაინახა, რომ ცეცხლი ბენზინის ავზს უახლოვდებოდა, იქვე მდებარე თორნის კედელზე ჩამოკიდებულ ცეცხლსაქრობს დაავლო ხელი და მძლავრი ჭავლით ჩააქრო ცეცხლი.

## ახალგაზრდა რაციონალიზატორთა სკოლა

**რუსთავის** მეტალურგიულ ქარხანაში ახალგაზრდა რაციონალიზატორთა სკოლა შეიქმნა. სკოლის ამოცანაა ხელი შეუწყოს ახალგაზრდობის შემოქმედებითი ინიციატივის შემდგომ განვითარებას. ჩაუნერგოს ქალიშვილებსა და ჭაბუკებს რაციონალიზატორული და საგამომგონებლო საქმიანობისადმი მისწრაფება. სკოლა ახალგაზრდა მეტალურგებსასწავლის სწორად გააფორმონ წინადადებანი, განსაზღვრონ მათი დანერგვის ეკონომიური ეფექტი, იგი კოორდინაციას გაუწევს ნოვატორთა მუშაობას.

ახლა ქარხანაში გამოცხადებულია ქალიშვილებისა და ჭაბუკების ტექნიკური შემოქმედების დათვალიერება-კონკურსი დევიზით: „ახალგაზრდების ტექნიკური შემოქმედება — დიდი ოქტომბრის 60 წლისთავს". (საქინფორმი).

## მეურნეობის მუშებისათვის

**ზუგდიდის** რაიონის აბასთუმნის ახლადშექმნილი ტუნგის საბჭოთა მეურნეობა სულ უფრო მშვენდება და ლამაზდება. წლეულს აქ ექსპლოატაციაში შევიდა მუშათა საცხოვრებელი სახლი, რომლის მშენებლობა 96.000 მანეთი დაჯდა. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელად მეურნეობაში აშენდა 9 კეთილმოწყობილი მუშათა საცხოვრებელი სახლი, პერსპექტიული გეგმით კი მეათე ხუთწლედში ტიპური პროექტით აშენდება კიდევ შვიდი მუშათა საცხოვრებელი სახლი.

ი. თორდია.

## კოლმეურნეები კურორტებზე

**ხელვაჩაური.** (საკ. კორ.). წლეულს საგზურებით ისარგებლა ჩაისუბნის კოლმეურნეობის 19-მა კოლმეურნემ, პიონერულ ბანაკებში დაისვენა ათობით ბავშვმა. მეჩაიე ე. ასანიძემ, ბუღალტერმა ზ. დოლიძემ, მეციტრუსე შ. ცინარიძემ და სხვებმა კისლოვოდსკში, სოჭში, წყალტუბოში გაატარეს შვებულების დღეები.

### ჭადრაკი □ 44-ე საკავშირო

# ფინიშის სიმძაფრე




**მეთოთხმეტე** ტურში ყურადღების ცენტრში იყო ძველი მეტოქეების ვაჰანიანისა და კარპოვის შეხვედრა. წლეულს მათ ერთხელ უკვე ითამაშეს ერთმანეთთან იუგოსლავიის საერთაშორისო ტურნირში. მაშინ გამარჯვება მსოფლიოს ჩემპიონმა მოიპოვა. ახლანდელი პარტია გადაიდო კარპოვის ერთგვარი უპირატესობით.

დიდოსტატ ბალაშოვს, რომელიც ადრე მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ბოტვინიკის მოწაფე იყო, ჭადრაკის სამყაროში იცნობდნენ როგორც მრავალმხრივ, თეორიულად კარგად მომზადებულ მოჭადრაკეს, თუმცა ასეთი წარმატებები მას არასოდეს ჰქონია. ახლა ბალაშოვი პირველ პრიზს უმიზნებს. ამჯერად მან რომანიშინს მოუგო, თვით რომანიშინის შესაძლებლობები ამ წაგების შემდეგ მკვეთრად გაუარესდა. გელერმა მოუგო დორფმანს, პოლუგაევსკიმ — გულკოს, პეტროსიანმა — კუპრეიჩიკს. რაშკოვსკი-ტალი და ტაიმანოვ-სმისლოვი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ტურნირის დამთავრებამდე სამი ტური დარჩა. პირველი ადგილის ძირითად პრეტენდენტებად ბალაშოვი, კარპოვი და პეტროსიანი ითვლებიან. ბალაშოვი უნდა ეთამაშოს დორფმანს, სმისლოვსა და ტალს, კარპოვი —პოლუგაევსკის, გრიგორიანსა და ცეშკოვსკის, პეტროსიანი — რომანიშინს, დორფმანსა და სმისლოვს. ამ სამი ძირითადი პრეტენდენტის გარდა, პრიზებისათვის ბრძოლის გარკვეული შესაძლებლობები აქვთ ტალს, პოლუგაევსკის, დორფმანს და გელერს. ამასთან ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ 18 მონაწილიდან პირველი 9 გაისად უმაღლეს ლიგაში რჩება, მომდევნო 6 პირველ ლიგაში გადადის, უკანასკნელი 3 კი იძულებული გახდება გაისად ბრძოლა მასობრივი ტურნირიდან დაიწყოს.

**გუშინ** ორ პარტიას ამთავრებდა მსოფლიოს ჩემპიონი კარპოვი — გულკოსა და ვაჰანიანთან. ჩემპიონმა ორივეში წარმატებას მიაღწია და დაეწია ტურნირის ლიდერს ბალაშოვს. ახლა მათ 9,5 ქულა აქვთ თითოეულს. ლიდერებს ერთი ქულით ჩამორჩებიან პეტროსიანი და პოლუგაევსკი.

## ნაკრების გეგმები

### ფეხბურთი

### პრეს-კონფერენცია მოსკოვში

**მოსკოვში,** სსრ კავშირის სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოში 17 დეკემბერს გაიმართა პრეს-კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის ნაკრების მომავალი წლის გეგმებს. ჟურნალისტების წინაშე გამოვიდა გუნდის უფროსი მწვრთნელი ნ. სიმონიანი.

**როგორია საბჭოთა ნაკრების გეგმები ახალ სეზონში?**

გუნდი პირველ მატჩს 15 იანვარს გამართავს იტალიაში ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებთან. იტალიაშივე გაიმართება კიდევ ორი მატჩი — 20 და 25 იანვარს.

ამ ტურნესათვის ნ. სიმონიანმა დაასახელა ნაკრების 18 კანდიდატი — მეკარეები — ასტაპოვსკი და გონტარი, მცველები — კრუგლოვი, ხინჩაგაშვილი, შეეცოვი, ოლშანსკი, პაროვი, ლოვჩევი, ნახევარმცველები — მინაევი, ტარხანოვი, ბურიაკი, კოლოტოვი, კონკოვი, თავდამსხმელები — ონიშჩენკო, ბლოხინი, ყიფიანი, ნ. პეტროსიანი, ფიოდოროვი.

საბჭოთა ნაკრები გამართავს აგრეთვე ამხანაგურ მატჩებს პორტუგალიის (23 მარტს ლისაბონში), გდრ-ის (28 ივლისს ლეიფციგში), გფრ-ის (15 ოქტომბერს მოსკოვში) ფეხბურთელებთან. განზრახულია შეხვედრები იუგოსლავიისა (მეტოქის მოედანზე) და პოლონეთის (მოსკოვში) ნაკრებ გუნდებთანაც.

ნ. სიმონიანმა თქვა, რომ მან შეარჩია 30-მდე ფეხბურთელი, რომელთაგან საუკეთესონი დაიცავენ საბჭოთა ფეხბურთის ღირსებას მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში. შეგახსენებთ, რომ ჩვენი ნაკრები საბერძნეთის გუნდს 24 აპრილს შეხვდება მოსკოვში, ხოლო 10 მაისს ათენში, 30 აპრილს და 18 მაისს კი ჩვენი ფეხბურთელები იასპარეზებენ უნგრეთის გუნდთან (ჯერ ბუდაპეშტში, შემდეგ კი — მოსკოვში).

### ჰოკეი




## ხუთთა ტურნირი

### „იზვესტიის" პრიზზე

**გუშინ** მოსკოვში ლუჟნიკის სპორტის სასახლეში გაიმართა საერთაშორისო ტურნირის ერთი მატჩი ჩეხოსლოვაკიისა და ფინეთის გუნდებს შორის.

მსოფლიოს ჩემპიონის — ჩეხოსლოვაკიის ნაკრებისათვის მხოლოდ გამარჯვება იყო საჭირო, რათა დასწეოდა ტურნირის ლიდერებს — სსრ კავშირის ჰოკეისტებს (4 ქულა). ასეც მოხდა. ჩეხოსლოვაკიელებმა გაიმარჯვეს დიდი ანგარიშით 6:1.

დღეს გაიმართება ტურნირის ერთ-ერთი საინტერესო შეხვედრა სსრ კავშირის ნაკრებსა და კანადის „ვინიპეგ ჯეტსს" შორის. მატჩი ტრანსლირებული იქნება ცენტრალური ტელევიზიით თბილისის დროით 15 საათიდან.

## მოკლედ

**ფეხბურთი.** ინდონეზიაში ამხანაგური ტურნეთი მყოფმა სსრ კავშირის ახალგაზრდულმა ნაკრებმა ანგარიშით 1:0 მოუგო ქალაქ ბანდუნგის გუნდს. ბურთი თამაშის მე-15 წუთზე გაიტანა რამაზ შენგელიამ. კოკისპირული წვიმის გამო მატჩი შეწყდა 65-ე წუთზე.

**ალმა-ათის** „კაირატის" ფეხბურთელებმა ამხანაგური ტურნეს პირველი მატჩი გამართეს ტანზანიაში, სადაც წააგეს „პან აფრიკენის" კლუბთან — 0:2.

**ტანვარჯიში.** ოდესაში დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის. საერთო გუნდური პირველობა მოიპოვა შეიარაღებული ძალების ნაკრებმა. მეორე ადგილზეა „ბურევესტნიკი", მესამეზე — „შრომითი რეზერვები".

**სპორტლოტო.** გუშინ მოსკოვში გაიმართა შაბათის „სპორტლოტოს" მე-19 ტირაჟი. აი მისი შედეგები: პირველი — 4, 7, 8, 30, 34; მეორე — 5, 18, 23, 35, 36.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი

380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების—99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, ხამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 14101

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14